// ქართლოსი

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

**KARTLOSSI — Organe du nationalisme intégral géorgien**

რედაქტორი: — ვიქ. ნოზაძე PARIS, MAI, 1937 Directeur : VICTOR NOSADZE

N 4—5 მაისი N 4—5

შინაარსი

Dr Ch. Maglakélidzé — Le 26 Mai.
, For the Restoration of the Kingdom of Georgia

ვიკ. ნოზაძე — მონარქია და ფაშიზმი
Dr V. Nosadzé — La Monarchie et le Fascisme
დ. მარჯანიშვილი — „კავკაზ", კავკასია და ოსმალეთი
D. Mardjanichvili — La Revue «Le Caucase», les Pays du Caucase et la Turquie
პროფ. დრ. ზანდერსი — ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის განვითარებანი (დასასრული)
Prof. Dr Sanders — Les Chemins de Politique-Continental de l'Europe

საქართველოს ყოფაცხოვრება
ბ. ვარდანი — 1. გამარჯვება თუ დამარცხება; 2. ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში
B. Vardani — L'Economie politique des Bolchevicks en Géorgie
სხვადასხვა: — შოთა რუსთაველის იუბილეს გარშემო: ილია ჭავჭავაძის იუბილე

მოგონებანი
ან. ქვლივიძე — აკაკი წერეთელი
An. Kvlividzé — Le grand poète géorgian A. Tsérétéli
ვლ. ახმეტელი — ილია ბრძენის გარშემო
Dr W. Achmétéli — A propos du grand poète Ilia Tchavtchavadzé

დ. ჭიაბრიშვილი — რუსეთი და საქართველო. წ~ი მე-2
D. Tchiabrichvili — La Russie et la Géorgie
შ. ბერიძე — წერილი იტალიიდან
Ch. Bèridzè, del R. Ist. Sup. Orientale — Shamil et l'Italie

სამხედრო საქმე
შ. მაღლაკელიძე — მცირე შენიშვნა
Dr Ch. Maglakélidzé — La petite note sur la bataille de Tbilissi en 1921
მ. დადიანი — პარიზის ზარბაზანი
M. Dadiani — Pariser Kanone

ს. ბერეჟიანი — ნიკოლა (რომანი)
S. Béréjiani — Nicolas (roman)

ბიბლიოგრაფია
Iv. Gakhokidzé — Bibliographie
ივ. გახოკიძე — კოლ. დ. სურამის, ლეონეტის და დერის ნაწარმოებნი
ივ. გახოკიძე — ვეფხის ტყაოსანის ლექსიკონი
ხიმ. — კარიკატურა

# LE 26 MAI

Pendant de nombreux siècles, au temps où guerroyer était un métier, le peuple géorgien eut souvent à l'exercer, car de tous côtés il avait pour voisins des ennemis qui, à maintes reprises, parvinrent à envahir le pays, par ruses, par force, et le mirent à feu et à sang. Mais le peuple géorgien a résisté à ses nombreux ennemis, aux invasions répétées, à tous ces incendies, ces masacres et ces persécutions sans fin.

Que d'énormes empires ont croulé, et que de grandes nations conquérantes ont disparu ! Cependant, un petit peuple, le peuple géorgien, est encore vivant !

Les facteurs essentiels qui ont permis à ce peuple de survivre à tant de vicissitudes et de catastrophes, c'est la sagesse de sa politique, sa civilisation, sa patience, sa morale et sa foi.

Jamais le peuple géorgien n'a craint d'affronter l'ennemi ; la lutte fut souvent inégale, et il n'en sortit pas toujours vainqueur ; mais il savait aussi attendre avec patience le moment favorable pour prendre sa vengeance.

Gagner la revanche n'était pas facile, et ni un ferme espoir de vaincre, ni l'amour ardent de la liberté, ne suffisaient pour cela. Il fallait aussi une volonté à toute épreuve, et ceux qui dirigeaient la destinée du pays étaient imbus de cette patience, de cet espoir ferme, et au moment propice marchaient droit sur l'ennemi, entraînant à leur suite la nation entière pour sortir victorieux d'une lutte acharnée. Pour défendre les intérêts de leur peuple, ils savaient tour à tour mettre à l'épreuve leur patience ou leurs armes. C'est grâce à cette héroïque résistance que le peuple géorgien a su sauvegarder sa culture et son vrai visage.

Vers la fin du 18e siècle, épuisée par cette lutte interminable et sans relâche, si souvent inégale, la Géorgie se tourna vers la Russie, sa coréligionnaire, dans l'espoir d'obtenir un appui pour se défendre contre ses envahisseurs musulmans. Ce fut presque sa

perte. Il fallut des dizaines d'années pour se débarrasser de l'intruse, lutter les armes à la main pour une résurrection nationale.

Pendant les 30 premières années du XIX<sup>e</sup> siècle, l'élément actif du pays périt dans ce combat. Puis, ce fut l'époque de la patience, de la lutte pacifique et d'une sourde résistance dirigées par de grands patriotes géorgiens. La tâche était difficile et lourde : il fallait lutter contre un courant antinational et marxiste.

La grande guerre et la révolution russe firent pencher la balance en faveur du peuple géorgien ; le 26 mai 1918 fut rétabli son droit immortel, l'indépendance de la Géorgie fut solennellement proclamée.

La Géorgie ressuscitait avec sa culture plusieurs fois séculaire dont les racines vivantes s'enfonçaient profondément dans un glorieux passé.

Mais la République démocratique de Géorgie n'a eu que trois ans d'existence. La Russie soviétique, quoiqu'ayant reconnu « de juré » l'indépendance de la Géorgie, viola le traité et envahit le pays sans déclaration de guerre, répétant ainsi le geste de la Russie tzariste.

Mais le peuple de Géorgie ne se résigna pas à supporter le joug moscovite, il reprit la lutte et la continue aujourd'hui. L'ennemi d'hier et d'aujourd'hui, implacable et déchaînée, inhumain et destructeur — la Russie — l'étouffe et l'anéantit de toute sa brutalité.

Et pourtant chaque année, le 26 mai, la Nation entière remémore en silence ce jour glorieux, avec l'espoir ardent de voir bientôt rayonner le jour d'une nouvelle et proche indépendance.

C'est dans le deuil que nous fêtons cette date ; mais nous la fêtons quand même car elle est le symbole de notre résurrection nationale.

Nous sommes pleins d'espoir — notre cœur, notre âme de Géorgien sont encore vivants, mûris par l'expérience, prêts au combat qui mènera à la victoire. Pour cette victoire, nous avons besoin de l'esprit et des sentiments qui animaient nos aïeux, nos glorieux rois qui, pendant huit siècles d'existence, ont su rendre glorieuse la dynastie des Bagrathionsi, qui nous permirent de vivre jusqu'aujourd'hui.

La foi, la morale, le sens et l'amour de la lutte, — sont des armes qui vaincront l'ennemie, la Russie (quel que soit son régime) — ce sont des armes sûres qui nous conduiront à la victoire, vers la restauration du royaume de Géorgie.

**Dr Ch. Maglakélidzé.**

# FOR THE RESTORATION OF THE KINGDOM OF GEORGIA

The Georgian people, which has had twenty - five centuries of political existence, has undergone many vicissitudes during the long course of its history; however despite the handicap due to its geographical position the people has maintained its individuality.

It is an established fact that in the 5-th century B. C. the georgian people was already divided into two Kingdoms — the Kingdom of Iberia in the eastern Caucasus and the kingdom of Colchis in the western Caucasus.

Owing to the strategic importance of these two Kingdoms situated between the Caspian and Euxine seas, thus guarding the main route of migration between Asia and Europe, the two great Empires of that period Rome and Persia fought for their political domination. In 368 B. C. Rome occupied the two Kingdoms, but shortly afterwards was forced to grant to the Persians a zone of influence in eastern Iberia.

Although Georgia continued to be governed by its own sovereigns, these were obliged to acknowledge the suzerainity of one or the other of the two great empires.

In the 4-th century King Mirian (265 — 345 A. D.) accepted Christianity and established an autonomous Georgian church, which greatly contributed to the cultural developement of the Georgians.

After the collapse of the Roman Empire, the Persians established a protectorate over Georgia in 527.

In the western part of Georgia the Empire of Byzantium attempted to maintain its control in Colchis, as heir to the former possessions of the Roman Empire, but with little success against the growing power of the Persians.

This struggle was finally terminated in 532 by a treaty wich ceded Iberia to Persia and Colchis to Byzantium.

However the Georgian people refused to accept the terms of this treaty and continued its struggle for national independance.

Presently a new enemy appeared. In 643 the Arabs invaded Georgia, and their dominion was even more humiliating than that of the Persians or Greeks.

This period was terminated by the victory of the Georgians and the establishment upon the throne of the family of the Bagrations, which proceeded to organize and unite all the Georgians.

The first Bagration king was Gouram, who ruled from 574 to 600; but the definite accession of the Bagrations as a national dynasty may be

said to date from the reign of Aschoth 780 — 826.

Towards the close of the X-th century Georgia was at last united under a single king and entered the period of its greatest power and glory.

During the reigne of David II (1073 — 1125) the frontiers of the kingdom of Georgia extended from the Black Sea to the Caspian and from the main chain of the Caucasus south to the district of Kars, and the Bagrations attained a position of great political importance throughout the near east.

The culminating point of this brilliant epoch was undoubtedly the reign of the great queen Thamar (1187 — 1212) whose name has become a tradition through all georgian history.

During the reign of this great queen, the kingdom equalled in extent the territory of the present republic of France.

Her reign also marked the apogee of georgian literature, art and architecture.

The classic poem of Chotha Rousthaveli «The man in the leopard's skin» has been translated into english by Sir Oliver Wardrop and published by the Royal Asiatic Society of London.

However this brilliant epoch of cultural developement was suddenly terminated in 1220 by the invasion of the Mongol hordes under the great Khan, but blossomed forth again in the reign of George V (1313 — 1346) who reunited all the original territories under his sceptre.

Again during the reign of Bagrat V (1369 — 1395) the kingdom suffered from seven different invasions of the armies of Tamerlane.

Nevertheless under the energetic rule of king Alexander I (1414 — 1442) the country again became powerful.

After the capture of Constantinople by the TurKs and the destruction of the Empire of Trebizond, founded by queen Thamar, Georgia found itself surrounded by the musulman Empire and completely cut off from all communication with the other Christian Powers of Europe.

Under these circumstances the kings of Georgia were unable to carry on any longer their fight for national liberty with any degree of success.

Henceforth the kings were merely able to maintain their independant rule in the province of Karthli, though they continually attempted to unite under their sceptre, as the opportunity offered, various portions of their former great heritage.

This task became increasingly difficult during the XV and XVI centuries as Persia and Turkey struggled more fiercely for possession of Georgia and obliged the georgian sovereigns to submit themselves from time to time as vassals to whichever of the two Empires was strongest.

Submerged by the power of Islam, the Bagration sovereigns frequently attempted to enlist the aid of other Christian Powers, but these attempts merely resulted in the exchange of letters and ambassadors from European Sovereigns.

At last in the beginning of the XVIII century Muscovy, now an Empire, expanded southwards in the direction of the Caucasus and the Georgian kings looked hopefully to this new Christian Empire as a possible ally against the Turks.

After many conferences a treaty of alliance was signed by the Plenipotentiaries of Catherine II and Irakly II.

By this treaty Russia guaranteed to Georgia complete independance and military assistance against all enemies.

This treaty exasperated the neighbours of Georgia, particularly Persia, and was in no way observed by Russia, so that when Persia declared war on Georgia, the old king received no help from the Russians.

Worse still, after the brief reign of George XIII, who died in 1801, Russia annexed Georgia in direct violation of the treaty.

The royal dynasty of the Bagrations, which had endured for 1500 years every vicissitude and had maintained intact the georgian language and national church even under the crushing domination of Islam, was then ruthlessly suppressed by the Russians.

All the members of the royal house were taken into exile in Russia except few who were able to escape abroad.

The same fate was meted out to the georgian Kingdom of Imerethi as well as to the Principalities of western Georgia, all these were incorporated into the Empire of the Czars.

Thus Georgia was deprived of her national dynasty which had ever preserved its national spirit and its culture.

Among the members of the royal house of Bagration, who carried on the struggle against the Russians, we owe our homage to the memory of Solomon II, King of Imerethi and Alexander, Prince of Karthl-Kakhethi, who continued until their deaths to battle for the re-establishment of national independance.

Through the 117 years of Russian domination the Georgian people has never lost its love for the national dynasty, consceous that it owes its political independance and ancient culture to the Bagrations.

Under the rule of the Bagrations Georgia was able to maintain her political sovereignity, con- concentrate her national resistance and contribute

largely through her own culture to the progress of civilisation.

Since the annexation by Russia the Kingdom of Georgia has been struck from all maps and divided into several provinces under Russian Governors who have savagely put down all revolts.

Upon the collapse of the Russian Empire in the world war, Georgia availed itself of the opportunity to declare its independance 26-th may 1918.

Georgia followed the trend so general after the war and proclaimed a republic, which was duly recognized by all the great Powers and also by Soviet Russia, may, 1920.

However, in spite of this recognition Soviet Russia invaded Georgia in February 1921 and overthrew the marxist governmeut which was totally incapable of defending the country.

The Georgian people immediately rose in revolt and in spite of the reign of terror set up in the country by the Soviet the struggle for independance still continues.

At the 4-th congress of our organisations held on the 18-th October 1936 the necessity for the co-ordination of all efforts for the restauration of the Kingdom of Georgia was acknowledged —

«For many centuries Georgia was a Kingdom.

«Our representatives are unanimously of the opinion that the natural evolution of the Georgian nation can only be attained under the strong leadership of a sovereign.. Since it was as a Kingdom that Georgia has had such a glorious hystory from the earliest years of the Christian era.

«While fully realizing the tremendous difficulties of the task before us, we hereby solemnly proclaim that our party will carry on the struggle for the restoration of our country and our Kingdom with unabated courage».

*Colonel* CHALVA MAGLAKELIDZE, *Dr. Jur.*
Leader of the Georgian National Party

ჩვენი ყიჟინაა: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უღელში ძალადობით შეწყვეტილ იქმნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული.

საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენელთაგან.

სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო.

ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი — მიწაა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმომქმედს; მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. ქართველებსა და აფხაზებს გარდა, სხვას მიწის ყიდვა აკრძალული ექნება; საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს.

საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწ

შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.

უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქმნას ქართული მოდგმა. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს. უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი. საქართველომ კვლავ უნდა ჰშვას შოთა რუსთაველი.

ქართველი მეფე, ეროვნულ ერთობაზე ანუ ფაშიზმზე დაურდნობილი, ერის უზენაესი გამომხატველია.

ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. ყველა ქართველი თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანია.

ქართლოსის მთავარი მიზანია: დიდი და დიადი საქართველო.

## მონარქია და ფაშიზმი

მონარქიის საკითხი არის პირველად ყოვლისა სახელმწიფოს სახეობის, ფორმის საკითხი. მაგრამ ამ საკითხის გარჩევისათვის საჭიროა განსაზღვრული თვალსაზრისით მიდგომა, ვინაიდან თვალსაზრისი საერთოდ მრავალია. ამიტომ სახელმწიფო ფორმათა გაშინჯა არც ისე იოლი საქმეა, თუ ჩვეულებრივი და დემაგოგიური ლაყბობა არა სურს ვინმეს.

სახელმწიფო ფორმათა შესახებ მოძღვრებას რომ თვალი გადავავლოთ, აღმოჩნდება, სხვადასხვა თვალსაზრისით, მეტად ჭრელი სურათი. მაგალითისათვის რომ ჩამოვთვალოთ სახელმწიფოთა ფორმები, ეს ჭრელი ნაირობა ამგვარია: —

— დესპოტია, თეოკრატია, უფლებრივი სახელმწიფო (**Welker**); რესპუბლიკა, ავტოკრატია, დესპოტია (**Heeren**); ორგანიული, მექანიკური სახელმწიფონი, რომელთა შორის პირველთ ეკუთვნიან ნომადებისა და მიწათმოქმედთა სახელმწიფონი და უკანასკნელთ ჰიერარხიები, იდიოკრატიები, სამხედრო ბატონობის, ბანკთა ბატონობის (**Leo**); კერპთსახელმწიფონი (**Idolstaaten**), ინდივიდუალ - სახელმწიფონი, თეოკრატია, პატრიმონიალ - სახელმწიფონი, ანტიური სახელმწიფო, უფლებრივი სახელმწიფო ახალი დროის (**Mohl**); ერთბატონობის, რომელიც განიყოფება მონარქიად, მონოკრატიულ რესპუბლიკად და პლენოკრატიად, — ეს უკანასკნელი განიყოფება პლეონარხიად და პლეონოკრატიულ რესპუბლიკად (**Gareis**); მონარხია და ალეონარხია, ნაწილდება არისტოკრატია და დემოკრატიად (**Geffcken**); არისტოკრატია, ტიმოკრატია, წმინდა დემოკრატია, კულტურ - დემოკრატია, მემკვიდრეობითი ბატონობის და თავისუფალი სახელმწიფონი; პოლიციური და უფლებრივი სახელმწიფონი; ცენტრალისტური, თვითმართველობითი სახელმწიფონი, ჰომო და პოლიგლოტ ტერიტორიალურ, — ნაციონალურ, — ეროვნებათა სახელმწიფონი, ჰომოდოქსი და პოლიდოქსი სახელმწიფონი და სხ. და სხვა (**Schvarcz**).

ეს მეტად ფერადი სურათი იმის მაჩვენებელია, თუ ვინ რა თვალსაზრისით უდგება, როდესაც იგი სახელმწიფოს ფორმისა სახელს და დახასიათებას ეძებს; ზემოაღნიშნულში მოსჩანს თვალსაზრისი: იურიდიული, ეკონომიური, სოციალური, ისტორიული, პოლიტიკური და სხვა.

ჩვენ როცა მონარქიის საკითხს ვეხებით, პირველად გვაინტერესებს მისი იურიდიული მხარე და ამ თვალსაზრისით*), მონარქია არის სახელმწიფო, რომელსაც ზელმძღვანელობს ფიზიკური ნებისყოფა, ეს ნებისყოფა უფლებრივად უნდა იყოს უზენაესი, არც ერთ სხვა ნებისყოფაზე არ - დამორჩილებული. ეს საკითხი უფრო ნათელი ხდება, როცა ვიხილავთ მონარქისა და სახელმწიფოს ურთიერთობას. ამ შემთხვევაში არსებობს მონარქის ორი ძირითადი ტიპი: 1) მონარქი, რომელიც სდგას სახელმწიფოს მაღლა და სახელმწიფოს გარედ; 2) მონარქი, რომელიც სახელმწიფოს შიგნით სდგას. პირველი გვარი განიყოფება ორად: მონარქი ან უმაღლესი ავტორიტეტია ან მესაკუთრე სახელმწიფოსი: აქედან გამომდინარეობს მონარქის სამი სახე: ა) მონარქი, როგორც ღმერთი ან ღვთის წარმომადგენელი, ბ) მონარქი, როგორც სახელმწიფოს მესაკუთრე, გ) მონარქი, როგორც სახელმწიფოს ნაწილი და სახელმწიფო ორგანო.

პირველი გვარის მონარქი უძველესი დროისაა, როცა სახელმწიფო თეოკრატიული ან პატრიარქალური იყო; ეს იმას ნიშნავს, რომ მიწიერი ბატონობა (თეოკრატია — ღვთის მართვა-ბატონობა) გამომდინარეობს ზეციური ძალისაგან. რომ მონარქი არის ღმერთი (წარმართული დრო) ან ღვთის წარმომადგენელი (წმიდა ავგუსტინეს დებულება, 354 — 430 წწ.); ამ თეოკრატიული დებულებიდან თანამედროვე ხანაში დარჩა მხოლოდ რამოდენიმე დამახასიათებელი ნაშთი: კურთხევა და ფორმულა: „წყალობითა ღვთისათა“...

მონარქი, როგორც სახელმწიფოს მესაკუთრე აღმოსავლური, ორიენტალური მოვლენაა, მაგრამ ეს შეხედულება ფესვმოდგმული იყო შუასაუკუნეთა ევროპაშიც, შემდეგშიაც და დღეს დამახასიათებელია ინგლისის სახელმწიფო უფლებისათვის.

ორივე გვარის მონარქი, როგორც ღვთის წარმომადგენელი და ისე მესაკუთრე სახელმწიფოსი, სდგას სახელმწიფოს ზევით, მაღლა და გარედ. სახელმწიფო მონარქის მიმართ არის ობიექტი, ხოლო მესამე გვარის მონარქი, როგორც სახელმწიფოს შიგნით მდგარი, არის სახელმწიფოს ნაწილი, მისი ორგანო. ეს დებულება შესანიშნავად აქვს გამოხატული საფრანგეთის მეფე ლუი მე-14-ს, რომელმაც შემდეგი სთქვა:

„მეფე წარმოადგენს მთელს ერს და თვითეული ცალკე წარმოადგენს ერთს პირს მეფის მიმართ. შედეგად, მთელი ავტორიტეტი იმყოფება მეფის ხელში... ერი მთლიანად არსებობს მეფის პიროვნებაში“...

მეორე მიმართულება ამ მხრივ გადმოცემულია პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდის მიერ, რომელიც თავისთავს ხალხის პირველ მსახურს, ხალხის პირველ ფარეშს ეძახდა ანუ როგორც ლეოპოლდ მეორე სწერდა:

„მე ვფიქრობ, სუვერენი, თვით მემკვიდრეობითი, არის მხოლოდ წარმომადგენელი (**délégué**) და მოხელე (**employé**) ხალხისა“...

მაგრამ უფრო შესანიშნავია და ფრიად საინტერესო: ერეკლე, პატარა კახის დაწერილი: —

„ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამასა ზედა“ ....... და სხ.

მაგრამ მონარქიათა მთავარი დამახასიათებელი და არსებითი მხარე მხოლოდ ის არის, რომ მონარქი უზენაესი ხელისუფლებაა სახელმწიფოში; ეს იმას ნიშნავს, რომ

---

**Dr. G. Jellinek: Allgemeine Staatslehre, Brln,1922**

მონარქს სახელმწიფო მოძრაობაში მოჰყავს და იცავს ამ მოძრაობას; ეს კი გამოიხატება კანონის სანქციის უფლებით, თავისუფალი გადაწყვეტით იმისა, თუ რა უნდა იყოს უფლება, ზრუნვით საერთაშორისო ურთიერთობაზე: ომი, ზავი, ხელშეკრულებანი და სხ. სანამ ეს უზენაესი მოღვაწეობა, რომელიც იწვევს სახელმწიფოს მოქმედებას, ძალაუფლების შენახვას, ერთ პირს ეკუთვნის, სახელმწიფო არის მონარქია. მონარქის ხელში არსებული სახელმწიფოს მოძრაობაში მომყვანი მოქმედება შეიძლება სრულად სახელმწიფოს მთლიან ცხოვრებას შეეხებოდეს; შეიძლება იყოს შემოფარგლული; ამიტომ არის, რომ მონარქია ითვისებს და ეგუება, ურიგდება სხვა და სხვა გვარ სოციალურ შინაარსს. ინგლისში, მაგალითად, სახელმწიფო ძალაუფლების დიდი ნაწილი პარლამენტის ხელშია, მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელობა სავსებით მეფეს ეკუთვნის. მეფის უმოქმედობა მთელ სახელმწიფო აპარატს გააჩერებდა და რევოლუციას გამოიწვევდა. მონარქია დემოკრატიული კონსტიტუციით არის აღჭურვილი თუ არა, მაინც ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია თავის დასაბამს მონარქში ჰპოვებს, — აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს წესწყობილების რაიმე ცვლა მონარქის ნების გარეშე და დაუთანხმებლად შეუძლებელია; სადაც კი ეს შესაძლოა, იქ არც არის მონარქია, ვინაიდან უზენაესი მიმართულების მიმცემი და მომქმედი მოსპობილია.

მონარქიის დამახასიათებელია აგრეთვე მემკვიდრეობითი მეფე ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, გვირგვინი, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მონარქი კი არ იმკვიდრებს გვირგვინს, არამედ გვირგვინი იმკვიდრებს მონარქს. ძველად არსებობდა არჩევითი მეფეც; ამჟამად ასეთი აღარ არსებობს და მონარქია მემკვიდრეობითია. რაც ორად განიყოფება: შეზღუდულ და შეუზღუდავ.

შეუზღუდავი ანუ აბსოლუტური მონარქია არის ისეთი სახელმწიფო, სადაც მონარქი უშუალო სახელმწიფო ორგანოა, ხოლო ბატონობის ძალა კერძო უფლების მიმართ შეკვეცილია და საჯარო-უფლებრივი წესი კი არის უფლება და არა ძალადობა.

აბსოლუტური მონარქიის შექმნა არის შედეგი ფეოდალურ წოდებათა ან მოსპობით ან სახელმწიფო ორგანოებად გადაქცევით; ამ უკანასკნელ მაგალითში წოდება და მოხელეობა სახელმწიფოს უშუალო ორგანოდ ხდება და იქმნება წოდებრივი მონარქია, საიდანაც შემდეგ, კონსტიტუციური მონარქია წარმოიშვა.

კონსტიტუციურ მონარქიაში და მისი განვითარების შემდეგ საფეხურზე — პარლამენტარულ მონარქიაში — მონარქის სახელმწიფოებრივი მოქმედება შეზღუდულია (კანონმდებელი და მაკონტროლე პარლამენტი, მონარქის აქტებზე მინისტერიული კონტრასიგნატურა, დამოუკიდებელი სასამართლო და სხ.), მაგრამ მონარქის უპირატესობა აღიარებული, თუმცა პარლამენტარულ მონარქიაში პარლამენტის უფლება სჭარბობს.

ამგვარად, მოკლედ, ჩვენ გავეცანით მონარქიის საკითხს და დავინახეთ მარტო იურიდიული თვალსაზრისითაც მონარქიის მრავალგვარობა და თუ სოციალური და პოლიტიკური თვალზომით მივუდგებით, აქ კიდევ უფრო ფართო შინაარსი და სახეობა მოიპოვება.

ჩვენ დავინახეთ, რომ, იურიდიული მიდგომით, მონარქია არის სახელმწიფო, რომელსაც ფიზიკური ნებისყოფა წარმართავს, რომ მონარქი არის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი; ფაშისტური თვალსაზრისით კი სახელმწიფო არის იგივე ერი და მათი დაშორება შეუძლებელი; ერი და სახელმწიფო — ერთიგივეა. ამიტომაც მეფე არის ერის უზენაესობის გამომხატველი და მისი სრულმყოფობის მატარებელი.

იმის თქმა, რომ ფაშიზმი და მონარქიზმი ერთმანეთს არ უთავსდება, არის — თუ უვიცობა არა, უდიდესი შეცდომა მაინც, რადგან სინამდვილეში ფაშიზმიც და მონარქიზმიც არსებობს ერთად, გაერთიანებულად და მძლავრადაც... იტალიაში, სადაც, ამ ფაშისტური იდეოლოგიის აკვან - ქვეყანაში, სტატუტის ძალით, მხოლოდ ერთადერთი მეფეა სუვერენი და მის წინაშეა პასუხისმგებელი მთავრობის მეთაური, დუჩე. მაგრამ ეს მჭერმეტყველი მაგალითიც რომ არ იყოს, ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მონარქია ფაშიზმს არ უპირისპირდება და ეთვისება, როგორც ფორმალურად, გარეგნულად, ისე ფაქტიურად, შინაარსით.

საქმე მარტო ის კი არაა, რომ სახელმწიფო მონარქიული იქნება და მაშასადამე: იურიდიული თვალსაზრისით: მეფე იქნება უზენაესი ხელისუფალი, — საქმე ამ მონარქიული წესწყობილების, სამეფოს წყობის შინაარსშია: — რა სოციალ - ეკონომიურ საძირკველზე უნდა აშენდეს სახელმწიფო.

ჩვენ ვნახეთ, შინაარსის მხრივ, სამეფოს წყობა მრავალგვარი ყოფილა, მაგრამ ფაშისტურ სამეფოს თავისი საკუთარი, ფაშისტური საფუძველი და წყობა აქვს, რომელზედაც შენდება ერის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური შენობა. სამეფო, ამ შემთხვევაში ქართული სამეფო. მაშასადამე: შემდეგისათვის ჩვენ მოგვიხდება საუბარი იმის შესახებ, თუ რა არის არსებითად ფაშიზმი და როგორი უნდა იყოს ქართული მისი სახე, რომლის შენობის საძირკველნი ქართული ისტორიული წარსულიდან და დღევანდელი სინამდვილედან უნდა იქმნან ამოყვანილნი და ამ მტკიცე ეროვნულ საფუძვლებზე ქართული სამეფო სასახლე აგებული.

ვიკ. ნოზაძე

## „კავკაზ", კავკასია და ოსმალეთი

რუსული კრებული „კავკაზ", რომელსაც ბ-ნი ჰ. ბამატი ხელმძღვანელობს და რომელშიც თანამშრომლობს ქართველთა მცირე ჯგუფიც, კარგა ხანია ქადაგებს იმ აზრს, რომ კავკასიელები და კერძოდ, რასაკვირველია, პირველ რიგში, ქართველები ოსმალეთის მეგობრები უნდა იყვნენო1).

„კავკაზ"-მა დაიწყო იქიდან, რომ დღევანდელი კავკასიის საზღვრები მტკიცედ გამოაცხადა და ყოველივე დავა ამის შესახებ ზედმეტად. არც ყარსის, არც ართვინის და არც არტაანის საკითხი „კავკაზ"-ისათვის არ არსებობს და იგი მსჯელობს ასე: —

კავკასიის მეზობელთა შორის რუსეთი მტერია. — ოსმალეთი კი მომავალი მეგობარი. ცხადია, „კავკაზი" ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ამჟამად არის ოსმალეთი კავკასიის მეგობარი, ვინაიდან მეტისმეტად ცნობილია ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის მეგობრობა. მაგრამ სამაგიეროდ გვპირდება „კავკაზი", რომ ოსმალეთი მომავალში იქნება კავკასიის მეგობარი, რადგანო მის ინტერესებს შეადგენს ბუფერული სახელმწიფოს არსებობაო. თავისთავად ნათელია, რომ ეს დებულება ეკუთვნის პოლიტიკურ სპეკულაციათა მოვლენას, ხოლო დღევანდელი ვითარება კი სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებს.

ოსმალეთი სრულებითაც არაა დღეს დაინტერესებული შეიცვალოს კავკასიის მდგომარეობა და ძალიან საეჭვოა, მას ამის სურვილი ჰქონდეს მომავლისათვის, თუ, რასაკვირველია, იგი რუსეთის კავშირის დარღვევის სინამდვილის წინაშე ძალაუნებურად არ დადგა.

რა მიზანი აქვს „კავკაზ"-ის გახურებულ ქადაგებას ოსმალეთთან აუცილებელი მეგობრობის შესახებ, როცა ეს მეგობრობა ჩვენზე სრულებით არაა დამოკიდებული! „კავკაზ"-ის სულის ჩამდგმელებმა კარგად უწყიან, რომ ქართველობა არც მტერია ოსმალეთის და არც მოყვარე, და ეს ნაქადაგევი მეგობრობა ჩვენზე სრულიადაც არაა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი — ოსმალეთისაგან — არც წარსულში და არც დღეს მეგობრობის უბრალო ნიშნებსაც ვერ ვამჩნევთ.

ხოლო „კავკაზ"-ის ეს საეჭვო პოზიცია ხანდახან საშიშიც ხდება ამ ქადაგების და ფიცხელი წერის დროს: საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ქართველობას უსაყვედურებენ: ბრესტლიტოვსკის ზავი თავის დროზე არ მიიღეთ და ბათუმი არ ჩააბარეთ ოსმალეთსო! დღეს ასეთი აზრის მტკიცება ოღონდაც ცუდის მომასწავებელია და ოსმალეთთან უსათუო მეგობრობის ქადაგებაში ხომ არ გამოსჭვივის ოსმალთა ფარული ზრახვები საქართველოს მიწაწყლის, შემთხვევის დროს, კვლავ წაგლეჯისა?! — ჩვენ ვშიშობთ, ეს ასე არ იყოს! თორემ ჩვენ რომ გვთხოვენ უეჭველ მეგობრობას ოსმალეთისადმი, — ერთი იქითაც გადაიხედონ და გვითხრან: რით გაუწია მეგობრობა ან რით გამოიხატება დღეს იგი კავკასიის მიმართ ოსმალეთის მხრივ?! იქნებ იმით, რომ ამჟამად ქართული ენა სავსებით აკრძალულია მთელ ართვინ - არტაანის მხარეში და ლაზური (ჭანური) მთელ ლაზისტანში?! იქნებ მით, რომ ოსმალეთმა არც ერთი ქართველი არ გააჭაჭანა თავის მიწაწყალზე და გადმოხვეწილთ სდევნის?! იქნებ......

ის დაპირება, რომ მომავალში ოსმალეთი კავკასიის მეგობარი იქნებაო, — უფრო ენუქას ანდერძს წააგავს და რეალ - პოლიტიკური დაფასებიდან არ გამომდინარეობს.

ჩვენ გვსურს რომ ვსცდებოდეთ და „კავკაზ"-ის დღევანდელი ქადაგება ჭეშმარიტებად გარდაიქცეს!

ვეჭვობთ კი!

**დ. მარჯანიშვილი**

---

1) ქართლოსი ამ საკითხს შემდეგში განსაკუთრებით შეეხება.

## ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის განვითარებანი

პროფ. დრ. ზანდერსი:

### ევროპიულ სახელმწიფოთა აღნაგობის საფუძვლები
(წერილი მესამე. დასასრული)

წინა წერილში განხილული იყო, სხვათა შორის, ევროპიულ სივრცეში ხალხთა დინამიკის საკითხი. ამჟამად ჩვენ შევეხებით ხალხთა სტატიურ ვითარებას, ესე იგი, ხალხთა გადასახლების შემდეგ, თუ როგორი იყო ხალხთა მოსახლეობის განაწილება.

აღმოსავლეთ ევროპაში ჩვენ ვხვდებით ვენდებს (სლავებს), სარმატებს, რომელთაც იმ ხანად მდინარე დნეპრის გარემოს მკვიდრნი სკვითები დაამარცხეს; და ვოლგის სივრცის ჩრდილოეთისა და შუაში — უგრო-ფინურ ხალხებსა და შემდეგ კავკასიელებს.

ხალხთა გადასახლებამ აღმოსავლეთ ევროპის ხალხურ შემადგენლობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

სკვითების და სარმატების სახელები სავსებით გაჰქრა. უგრო-ფინურ ნიადაგზე პატარა ხალხები წარმოიშვენ; მათ მიემატა ტურანული ხალხური ელემენტები; ეს ხალხები აზიიდან ახლად მოწოლილი ტალღების მიერ გადარეკილ იქმნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მდინარე დნეპრის სივრცეზე ახალი ხალხის შექმნის პროცესი იწყება და კიევის სახელმწიფოსთან ერთად უკრაინელობა იქმნება.

კავკასია არ განიცდის რაიმე ხალხურ მნიშვნელოვან ცვლილებას.

ჩრდილოეთი ევროპა ამავე დროს მეცხრე-მეთორმეტე საუკუნემდე ქრ. შ. ჰქმნის ჰანზის ქალაქების პოლიტიკას; ხმელთაშუაზღვის სივრცეზე იქმნება გენუის პოლიტიკა; ორივე გადაბმულია ბიზანტია და კავკასიასთან. აქედან ძველი სავაჭრო გზა მიემართება ინდოეთ-შორეულ-აღმოსავლეთისაკენ.

წინა წერილში ჩვენ ვნახეთ, თუ ევროპა რამდენად

მონდომებული იყო კავშირი ინდოეთთან და შუააზიასთან შეენარჩუნებინა. გერმანები აარსებენ ქრისტეს შემდეგ მეორე საუკუნეში შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე სახელმწიფოს (ოსტგოტების). ამ სახელმწიფოს შემწეობით შავზღვასთან მისაღამი და ირან-ინდოეთთან გაბმული კავშირი უზრუნველყოფილი იყო. ჰუნნები ხელს უშლიან ამ მუშაობას; მაგრამ შემდეგში ოსტგოტების მოვალეობას კისრულობენ პოლიანები, დრემლიანები, სევერიანები და სხ., რომელთაგან 864 წ. ასკოლდისა და დირის მიერ შექმნილ იქმნა კიევის სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ამოცანა იყო, დიდ ევროპიულ სისტემაში. მდინარის გზა, დნეპრზე შავზღვამდე, ნორმალური მიმოსვლისათვის დაეცვა და უზრუნველეყო. „ქარვის გზას“ არ უნდა დაეკარგა სავაჭრო ურთიერთობა ერთი მხრივ აზიასა და ევროპას შორის, და მეორე მხრივ, ჩრდილოეთ ევროპასა და ბიზანტიას შორის.

მდინარე დნეპრით მიდიოდა „ვარიაგების გზა“ შავიზღვისაკენ. თუმცა ხანგამოშვებით დნეპრის ქვემო მხარე ხაზარების, პაჭანიგების და სხ. ხელში იმყოფებოდა ხოლმე, მაინც კიევის სახელმწიფოს (უკრაინის) დაწოლით. თითქმის ყოველთვის იძულებული ხდებოდენ დნეპრის გზა თავისუფალი გაეხადათ. ასკოლდი და დირი 865 წ. ოლეგი — 907 წ., იგორი — 941 წ. ილაშქრებენ კონსტანტინეპოლამდე, რათა დნეპრ — შავიზღვის სავაჭრო გზაზე ნორმალური პირობები შეექმნათ.

მე-9 — 12 საუკუნეში დნეპრის ქვემო-მხარე კიევის სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა; იქ ისხდნენ მაშინ პაჭანიკები, რომელთაც იმ დროს იქიდან ხაზარები გარეკეს. მაგრამ დნეპრის მდინარე-გზა შავზღვამდე კიევის სახელმწიფოს დაცვა-კონტროლში იმყოფებოდა.

ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ ზღვის (ნორდზეე, ოსტზეე) და დნეპრის სივრცეზე განვითარდა ჰანზის ქალაქთა პოლიტიკა და ხმელთაშუაზღვის სივრცეზე გენუელთა პოლიტიკა. ორივე ხვდებოდა ერთმანეთს შავზღვაზე და ერთად მიდიოდა ძველი გზით კავკასიაზე და კასპიის - ზღვით ირან-ინდოეთისა და შორეულ აღმოსავლეთისაკენ.

საქსონელთა ჰერცოგი ვიდუკინდი იყო წარმომადგენელი ჩრდილო - გერმანული თაოსნობისა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰანზის ქალაქთა პოლიტიკაში ჰპოვა.

ვიკინგები მიმოდიოდენ ჩრდილოეთის ზღვის — ნორდზეე — ნაპირებიდან დნეპრის სისტემით შავზღვამდე მერვე-მეათე საუკუნეში. ეს სავაჭრო გზა შემდეგში ჰანზის ქალაქთა კავშირმა განაგრძო.

ცნობილია ინგლისური საბუთებით, რომ ჰანზის ქალაქებს იქ. ინგლისში, ახალშენები ჰქონდათ; ქალაქი კოელნი კისრულობს თაოსნობას და ხდება გერმანიის დასავლეთის ვაჭრობის ცენტრად. კოელნის ვაჭრების მიერ დაარსებულ შტაალჰოფს ურთიერთობა ჰქონდა ფლანდრიის და ვესტფალიის ქალაქებთან და მეორე მხრივ ლუბეკთან.

ვისბი გოტლანდზე იყო გამოსავალი წერტი აღმოსავლეთის სივრცისა და სკანდინავიისათვის. განსაკუთრებულ როლს აღმოსავლეთის სივრცის პოლიტიკისათვის თამაშობდა ჰამბურგი და ლუბეკი. 1241 წ. მათ მიაღწიეს და უზრუნველყვეს ჩრდილოეთის ზღვისა და აღმოსავლეთის ზღვის — ნორდზეე და ოსტზეეს — შორის მიმოსვლა; 1285 წ. ლუბეკმა შეიერთა ვენდების ქალაქები ვისმარი, როშტოკი; გვიან შტრალზუნდი და გრაიპსვალდი და მცირე პომერული და მერკული ქალაქები, როგორიცაა დემინი, ანკლამი, სტარგარდი, შტენდალი, ზალცვედელი, ბრანდებურგი, ბერლინ - კოელნი, ფრანკფურტი ოდერზე. ჰამბურგის გარშემო შეჯგუფული იყო ქვემო-საქსონური ქალაქები: კოელნი, დორტმუნდი, ზოესტი, მუენსტერი, ჰერფორდი, მინდენი. ასე მტკიცედ აღეშენა სავაჭრო პოლიტიკის აპარატი ქვეყნის შიგნით. აგრეთვე თორნი, კულმი, დანციგი. ბრესლაუ ეკუთვნოდა მათ.

უკვე ადრე, შვედებმა და დენმარკელებმა გამოიჩინეს ინტერესი აღმოსავლეთის ზღვის მხარეებზე (ლივლანდი. ესტლანდი, კურლანდი).

აღმოსავლეთ ზღვის მხარეთა (ბალტიკუმის) დაკავშირება ევროპასთან მოხდა ქალაქ ლიუბეკის აღმოსავლეთის სივრცის პოლიტიკით, რომლის გზა მიდიოდა უმთავრესად დვინის ვისბის შესართავით (1160 წ.): გერმანულმა ორდენმა (ხმლის ძმები, 1207 წ.) დიდხანს შეინახა გერმანელ ადამიანთა ეს გასასვლელი გზა აღმოსავლეთის სივრცისაკენ. რიგა, დორპატი და რევალი ჰყვაოდენ ჰანზის ქალაქებთან კავშირში.

შემდეგი განმტკიცება ამ პოლიტიკამ მიიღო „კოელნური კონფედერაციით“ 1367 წ.

ჰანზის ქალაქთა პოლიტიკა აღმოსავლეთის არეზე მალე დიდ შედეგებს აღწევს. ამის გამო წამოიჭრება საჭიროება გაიკაფოს აგრეთვე სავაჭრო გზა ვოლგის სივრცეზე აღმოსავლეთისაკენ . უცხო მხარეებში (უგრო-ფინური) ვაჭართათვის დასაყრდენი წერტები შექმნეს. ერთი სადგურიდან მეორემდე ვაჭრებს მიაცილებდენ შეიარაღებული დამცველნი (დრუჟინა). „დრუჟინებს“ ადგენდენ უმთავრესად სლავურ მოლაპარაკე პირებისაგან. ნოვგოროდიდან და კიევიდან. ეს დასაყრდენი წერტები რომელთაგან მერმისს ქალაქები წარმოიშვენ, გასლავიანებულ იქმნენ. ნოვგოროდ, პსკოვ-თან ერთად აღეშენენ ქალაქები ვოლგის მხარეში. როგორც მაგალითად, როსტოვი, სუზდალი და სხ.

ჰანზის ქალაქთა პოლიტიკისათვის აღმოსავლეთის სივრცეში მთავარი დასაყრდენი წერტი იყო ნოვგოროდი (ველიკიჰოფი ნოვგოროდში), რომელსაც გერმანელი ჰანზიატები „ნაუგარტს“ ეძახოდენ. აქედან გარმანული პოლიტიკის სხივები სწვდებოდა ურალამდე და შავზღვამდე.

1206 წ. მონღოლთა საერთო ყრილობაზე (კურულტაი) ტემუჯინი ჩინგის-ხანად (ესე იგი სრულყოფილ გმირად) - იქმნა გამოცხადებული. აქ იწყება მონღოლთა ტალღა, რომელმაც მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში „ევროპიული ფრონტი“ გადალახა და შიგ ევროპაში შეიჭრა. ქართველებისა და უკრაინელების ბრძოლები მონღოლთა წინაალმდეგ არსებითად იგივე იყო, როგორც ბრძოლა ლიგნიცთან 1241 წ. აპრილის 9-ს, — და ყველა ეს ბრძოლა წარმოადგენდა ევროპის ბრძოლას აღმოსავლეთის წინაალმდეგ.

მონღოლებმა აღმოსავლეთის სივრცეში ევროპა სასტიკად დაასუსტეს.

მონღოლებისა და ალექსანდრე ნევსკის წამოწყებული ბრძოლა შემდეგში მოსკოვის მიერ ნაყოფიერად იქმნა გაგრძელებული. ბრძოლა სომალი-ზღვაზე (1502 წ.) ორდენის უფროს ვალტერ ფონ პლეტენბერგის (1494 —

1535 წ.) მოსკოველების წინააღმდეგ იყო ევროპის ბრძოლა „აღმოსავლეთის სივრცეში ღია კარებისათვის“, რომელიც დაახლოებით ჯერ 50 წლის მერმე (ომი 1558 წ., ლივლანდის გაყოფა 1561 წ.) ნაწილობრივ და მე-18 საუკუნეში (პეტრე დიდი) საბოლოოდ დაკარგულ იქმნა.

ოსმალთა გაბატონებით შავიზღვის მხარეებში ევროპიული პოლიტიკის გზები აღმოსავლეთისაკენ საბოლოოდ გადაღობილ იქმნა.

განვითარებისა და წინსვლის აღმავლობის ხაზიდან ევროპა უკან დაექანა. მისი გზა აღმოსავლეთ სივრცისაკენ დაიკეტა. იგი იძულებული გახდა ახალი შესაძლებლობანი მოეძებნა.

ქალაქ პიზა-ზე გამარჯვება ქალაქ გენუისა ნიშნავდა ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში გენუის მარტოდ ბატონობას და ვენეციაზე (ქართულად ვენეტიკი) გამარჯვება კი ბატონობას აღმოსავლეთ ნაწილზეც (1257 — 1381 წწ.).

ბიზანტიის კესართა სახელმწიფოს აღდგენა (1261 წ.) ხდება გენუელთა ბატონობის აყვავების ხანაში; მათ მიიღეს ახალი დასაყრდენი წერტები აღმოსავლეთში, გალათა და პერა (კონსტანტინეპოლის გარეუბნები), ბაჟისაგან თავისუფლება ყველა ბიზანტიურ მხარეში და თავისუფალი ნავოსნობა ზღვებზე. სულ მალე ამის შემდეგ გენუელებმა აღაშენეს პოზიციები შავზღვაზე: დაიკავეს ყირიმი და აზოვი და აღადგინეს ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომელნიც შავსა და კასპიისზღვის ნაპირებზე იმყოფებიან. მათ მოიპოვეს კუნძული ლესბოსი და ხიოსი (1346 წ.), ფამაგუსტა კიპრზე 1383 წ. და გაიკაფეს გზა სამხრეთისაკენ.

თემურ ლენგმა დაასუსტა გენუელები აზოვ და ყირიმში. ოსმალებმა კი გადევნეს ისინი ხიოს და ლესბოსიდან (1400 წ.), ფამაგუსტიდან (1464 წ.), აზოვიდან (1471 წ.) და კაფიდან (1475 წ.). ამის მიუხედავად, შავ და კასპიის ზღვის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა ხშირი იყო, სანამ ოსმალებმა ევროპაში საბოლოოდ არ გაიმარჯვეს და ეს გზები არ დაჰკეტეს.

მონღოლთა, და გვიან, ოსმალთა მიერ ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის სიცოცხლის უნარიანობა დარღვეულ იქმნა, დასავლეთ ევროპაში დიდი მნიშვნელობა მოიხვეჭეს განაპირა სახელმწიფოებმა, მაშასადამე, ისპანეთმა, პორტუგალიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, ჰოლანდიამ და სხ., რომელთაც ევროპის კონტინენტალ - პოლიტიკის გზა მიატოვეს. ისინი ეძებდენ და იპოვეს წყალზე ახალი იმავე აღმოსავლეთისაკენ (სპარსეთ — ინდოეთ — ჩინეთისაკენ), რომელთანაც უწინ ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკით იყვნენ დაკავშირებულნი. ამ განვითარების მსვლელობაში აღმოჩენილ იქმნა ამერიკა, გამოიძებნა ახალი წყლისგზა, რომლითაც მოხდა ევროპიულ — ამერიკული კულტურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება. ამ დროიდან ევროპის კონტინენტალ - პოლიტიკა დასავლეთ ევროპის მიერ უყურადღებოდ მიტოვებულ იქმნა, რითაც ზარალდებოდა ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი (შვეცია, ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, უკრაინა, კავკასია) და შუა-ევროპაში ძალთა თავმოყრა და განმტკიცება გვიანდებოდა.

ახალი პერსპექტივების გამო ამერიკაში და აზიურ ნაწილებში ძალები განაპირა ქვეყნებისა, რომელნიც ამერიკასთან, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიასთან ზღვის გზით ხელსაყრელად გადაბმული იყვნენ, სავსებით დაკავებული იყო. ეს ახალი ევროპა ივიწყებს, რომ ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკა მთელი ევროპისათვისაა საჭირო; განაპირა სახელმწიფონი ამ პოლიტიკაზე დამოკიდებული არ იყვნენ და შეეძლოთ მასზე უარი ეთქვათ. მთლიანი ევროპის ერთიანობა კულტურულ და ეკონომიურ მისწრაფებაში ამით დარღვეულ იქმნა.

სამი ათასი წლის ძველი პოლიტიკა ევროპის მე - 16 საუკუნეში ახალით შეიცვალა. ხოლო ამ ახალ, ზღვისგალმა პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ განაპირა ქვეყნებს: ისპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ინგლისი. და ნაყოფი ევროპის ამ პოლიტიკისა არის ბრიტანეთის იმპერია.

მეორე მხრივ აღმოცენდა ახალი კონტინენტალური ძალა: — რუსეთი.

აღმოსავლეთ ევროპაში (უმთავრესად ბალტიის მხარე, პოლონეთი, თეთრი რუსეთი, უკრაინა და კავკასია), რომელიც სავსებით კონტინენტალ - პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული, დიდ ხანს იბრძოდენ მის შესარჩენად ან აღსადგენად. მე-16-დან მეოცე საუკუნემდეც ხდება ეს ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპაში. ამ ბრძოლით დაქანცულნი მიმართავენ შემწეობისათვის, მაგრამ შუა და დასავლეთ ევროპისათვის მათი ძახილი გაუგებელი დარჩა. მაგალითისათვის აღვნიშნავთ მე-17 საუკუნეში ქართველ ელჩს სულხან საბა ორბელიანს; იგი ეწვია რომს, პარიზს (ლუი მე-14-ს), ბერლინს, მაგრამ დასავლეთში მან ვერავითარი გამოძახილი ვერ ჰპოვა, უფრო ნაკლებ — შემწეობა. კიევიდანაც მიიჩქაროდენ ელჩები დასავლეთისაკენ, რათა დახმარება და გამაგრება მოეპოვებინათ. ყველა ბრუნდება იმავე შედეგით, როგორც თავადი ს. ს. ორბელიანი.

მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეში ხალხთა გადასახლება ევროპიული სივრციდან ამერიკულში. შედეგი: ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს 200 მილიონამდე ევროპიელი. ამერიკა რომ არ აღმოჩენილიყო, როგორი დინამიკა შინაური მიწოლისა იქნებოდა აღმოსავლეთისაკენ ევროპაში მთელი იმ ხანაში და დღესაც?

ამ დროის განმავლობაში, როცა ევროპამ ზღვისგაღმა პოლიტიკით კონტინენტალ - პოლიტიკას თავი მიანება, იზრდებოდა მოსკოვის კნიაჟესტვო, მას შემდეგ რაც განთქმულ მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფო დაინგრა.

მოსკოვის კნიაჟესტვო დაარსდა მე-13 საუკუნეში მონღოლთა ბატონობის ქვეშ. სიტყვა მოსკოვი (მოსკვა) არის ფინური და ეს ქალაქი ფინურ სოფლიდან წარმოიშვა. მოსკოვის ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორი სისწრაფით ვრცელდებოდა ამ მხარის საზღვრები. ეს ზრდა თანადროულია ამერიკის აღმოჩენასთან და წარმოშობილია მონღოლთა სახელმწიფოს ნანგრევებიდან.

შვეციის, ბალტიის ქვეყანათა, უკრაინისა და კავკასიის მოქმედება-ბრძოლა პირველად მონღოლთა და შემდეგ თავისი მეზობლის (მოსკოვის) წინააღმდეგ „ევროპის“ დასანარჩუნებლად აღმოსავლეთში უკვე გაუგებარი შეიქმნა ამ საუკუნეებში შუა და დასავლეთ ევროპისათვის. მრავალი მაგალითიდან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე: დასავლეთ და შუა ევროპაში ვერ შეიგნეს, რომ ბრძოლა პოლტავასთან მოსკოვსა (პეტრე დიდი) ერთის მხრივ და შვეციასა და უკრაინას შორის (კარლოს მე-12 და მაზეპა) მეორე მხრივ, იყო ბრძოლა ევროპასა და მოსკოვიტურ

სახელმწიფოს შორის. ევროპამ აქ იგემა გადამწყვეტი დამარცხება, რომლითაც ევროპიულ - კონტინენტალ პოლიტიკის ნაშთის სამერმისო განვითარება ევროპის საზიანო გავლენაში მოხვდა. მის შედეგად ევროპა ჰკარგავს თანდათანობით უკრაინას, ბალტიის ზღვის ნაპირებს ანუ ბალტიკუმს, პოლონეთს, კავკასიას და მე-19 საუკუნეში მოსკოვი (პეტერბურგი) ევროპის შინაურ საქმეებშიაც კი ერევა და მისი უმაღლესი მსაჯული ხდება (ალექსანდრე პირველი).

როცა რუსეთი 1905 წ. იაპონიასთან ომობდა, პრინციპიულად არსებობდა შესაძლებლობა, გერმანიას ხელსაყრელი ვითარებით ესარგებლნა, რომ ბალტიკის მხარენი მაინც, რომელნიც პეტრე დიდმა ევროპას წარუღო. ევროპისათვის დაებრუნებინა.

უკრაინისა და საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წ. უკან აბრუნებდა იმ მხარეებს, რომელთაც ალექსანდრე დიდი, შემდეგ რომი და დაბოლოს რუსთა სახელმწიფო ხმარობდა, როგორც გამოსავალ და დასაყრდენ წერტს, აღმოსავლეთის პოლიტიკის ხელახლა შესაქმნელად. ევროპის ეს აღმოსავლეთი ფრონტი, უკრაინა და კავკასია (წამოწეული წვერო ევროპიულ კონტინენტალ-პოლიტიკისა), ცოცხალი მატარებელნი ევროპიულ-კონტინენტალ პოლიტიკის ტრადიციებისა, მზად იყვნენ ემუშავნათ, როგორც წინმდგომთ დიდი ხნის ნანატრ კონტინენტალ-ხაზის აღსადგენად, როცა ევროპის შუაგულში ნგრევა მოხდა. ამით შესწყდენ ეს განვითარებანი, რომელნიც მთელი ევროპის და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ინტერესს წარმოადგენდენ. აქედან სჩანს, რომ სავსებით შესაძლებელია და აუცილებელიც ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას (ჩინურ — იაპონური კულტურ-წრე) შორის შეთანხმება განხორციელდეს, რათა ამით საღი და პატიოსანი ურთიერთობანი ხელახლა დამყარდენ დედამიწის ამ ნაწილთა შორის.

ნათარგმანები **რევ. ბეთანელი**-სა

## საქართველოს ყოფა-ცხოვრება

### საქართველოს ეკონომიური ვითარება

#### 1. გამარჯვება თუ დამარცხება?

საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ცეკას პლენუმზე, კავკასიის სტალინმა, ლავრენტი ბერიამ მოხსენება წაიკითხა საქართველოში კოლექტიური მეურნეობის განხორციელების შესახებ. ეს მოხსენება მრავალ-მხრივაა საინტერესო და გვიჩვენებს ბოლშევიკური მეურნეობის სურათს ანუ უფრო ზუსტად რომ ვსთქვათ, მის დაცემას. თუმცა სიტყვითა და კალმით გამარჯვებას დღესასწაულობენ.

მოხსენების განხილვის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის მოვლენა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბოლშევიკურ სტატისტიკასთან, და სტატისტიკა, თუ იგი სინიდისიერად არ არის მოხმარებული, საშიშიც არის სიმართლის გამორკვევისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე დასკვნითი ციფრებს ეხება. მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვხდებით ვისარგებლოთ იმ ციფრებით, რომელსაც თვით ბერია გვაწვდის.

ბერიას მოხსენების პირველი თავი ეკუთვნის „კოლმეურნეობათა მშენებლობის წარმატებას საქართველოს სოფელში".

ბერია მოგვითხრობს, რომ 1931 წ. საქართველოში იყო 2. 039 კოლმეურნეობა, რომელშიც შედიოდა 91. 143 მეურნეობა და ეს წარმოადგენდა 21, 8%-ს. ახლა კი — 1936 წ. აგვისტო — იქაა 4. 417 კოლმეურნეობა, 363. 015 მეურნეობით რაც 74, 4%-ს შეადგენსო; რასაკვირველია. ლ. ბერია იქვე დასძენს, რომ ეს დიდი გამარჯვებაა ჩვენიო, მაგრამ თუ საქმის ვითარებას ცოტა გულში ჩავხედავთ, იმ ძუნწი ციფრებიდან, რომელსაც იგი აქვეყნებს, ირკვევა, რომ კოლმეურნეობათა გაზრდა განსაკუთრებულ კუთხეებში მომხდარა, სწორედ იქ, სადაც კოლექტივიზაცია შედარებით იოლი გასატარებელი იყო, ანუ იმ კუთხეებში, სადაც კულტურები (თამბაქო, ჩაი და სხ.) ფართოდ არის განვითარებული თვით ბოლშევიკური ეკონომიური პოლიტიკის წყალობით. ირკვევა, რომ კახეთში 1935 წ. 1 იანვარს საშუალოდ იყო კოლექტივიზაცია-ქმნილი 30.5%. ახლა კი არის 74.5%; აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში იყო 13.5%. ახლა კი არის 89.2%; ახალციხის მაზრაში იყო 10.3%, ახლაა 40.8%.

ლ. ბერია მხოლოდ ამ ციფრებს გვიჩვენებს, მაგრამ ესეც საკმაოა იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რით აიხსნება პროცენტულად კოლექტივიზაციის ასეთი გაზრდა. ძალდატანებასა და კანონს რომ თავი დავანებოთ, კულტურების ერთნაირობა აიოლებს ამ მოვლენას. მაგრამ თავისთავად ეს ზრდა, ზრდა სრულიად მექანიკური, არაფერს გვეუბნება, თუ თვით კოლექტივის მუშაობასა და სარგებლიანობას არ მივხედეთ.

ჩვენ აქ ბერიას ვიმოწმებთ. აღმოჩნდა, რომ აუარებელი შეცდომა და უანგარიშობა არსებობს კოლექტივებში. ვისი ბრალია? ცხადია, არა სისტემის, თვით კოლექტივიზაციის, არამედ ხელმძღვანელების და ბერიაც სწორედ ამ ხელმძღვანელებს ურტყამს მათრახს — თქვენი ბრალია, რომ კოლექტივები კარგად ვერ მუშაობენო! რით გამოიხატება ეს ბრალი და რაა თვით დანაშაული?

არსებობს, ყველამ იცის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება; მაშასადამე: ერთი მხრივ წესდება-კანონი და მეორე მხრივ — ცხოვრება-სინამდვილე!

წესდების მეორე თავის ძალით, კოლმეურნეობათათვის სახელმწიფო აქტით უნდა მიეჩრათ სამუდამო სარგებ-

ლობაში მიწა თავი საზღვრებით. გეგმის მიხედვით, ამგვარი სახელმწიფო აქტი უნდა მისცემოდა 3. 399 კოლმეურნეობას; სინამდვილეში კი მიეცა მხოლოდ 1. 156-ს ანუ 34%-ს. ზოგიერთ კუთხეში ხელიც არ გაუნძრევიათ!

ეზო-სახლ-კარი კოლმეურნეებს უნდა გამოჰყოფოდათ ჯერ კიდევ 1935 წელში, — ეს საქმე დღესაც დასრულებული არაა და 36. 864 კოლმეურნეობას არაფერი მიულია. აღსანიშნავი აღარაა, თუ რაოდენი ბოროტმოქმედება ხდება ამ „გამოყოფისა“ და „ჩამოჭრის“ დროს!

რაც შეეხება კოლმეურნეობის საშუალებებს — აქ პირდაპირი ცარცვა-გლეჯაა და ბერიაც არ ზოგავს სიტყვას „მტრების “წინაალმდეგ; ხოლო წევრთა მიღებისა და გაგდების საკითხში სრული უპასუხისმგებლობა და არევდარევა არსებობს, და ამის გამო ბერია ამბობს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, გამორიცხვა მოხდენილია უსწოროდ, უსაფუძვლოდ -ო. ამის მაგალითებს იგი თვით აღნიშნავს მრავლად.

თუ ვიტყვით რაიმეს კოლმეურნეობის საშუალებებზე, აქაც იგივე ბოროტმოქმედებაა: შემოსავალ - გასავალი აღრიცხვა ხდება ფორმალურად , საქონელსა და ფულს იტაცებენ, ფლანგავენ უაზროდ, ხარჯავენ დაუზოგველად და სხ. ზოგიერთგან ვითომც წარმოების სახით იხარჯება თანხა, — ნამდვილად კი ქეიფს და დროსტარებას ხმარდება და რაც ყველაზე უარესია, — კოლმეურნეთა შრომადღისათვის ფულის არ მიცემა მეტად ხშირია! მაგალითი ჩვეულებრივი: წალკის რაიონში ყველა კოლმეურნის ფულადი შემოსავალიდან, რაც უდრიდა 417. 500 მანეთს, გაუნაწილდა კოლმეურნეებს მხოლოდ 17. 000 მანეთი. და ეს ხდება მაშინ“, ამბობს ბერია, „როცა საქ. ბოლშ. პ. ცეკამ მაისში თავისი გადაწყვეტილებით უკვე გააფრთხილა წალკის რაიკომი“.. ასეთი შემთხვევა მრავალია!

წესდების მეშვიდე თავი ეხება კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციას, ქირას და შრომის დისციპლინას. აბა, იხილეთ აქ რა ამბებია! რა უბედურება და რა უპატრონობაა! ჩვენ მივაწვდით მკითხველს მხოლოდ ერთ მაგალითს: — კოლმეურნეობის თავჯდომარე პავლე პატაშურს მიწერილი აქვს ოთხი თვის მუშაობა, მაგრამ დახეთ როგორი ანგარიშია მერმე: თავჯდომარეობისათვის — 36 შრომა დღე; მივლინებისათვის (კომანდიროვოჩნი) — 39; სტაჟისათვის (!) — 18; პასუხისმგებლობისათვის (!) — 29; საქონლის მოვლისათვის — 63; ბინების მოვლისათვის — 32; გაკრეჭისათვის — 29; სულ — **246** შრომადღე. და როდესაც ბერია ასეთ რამოდენიმე მაგალითს მოუთხრობს კრებას, კრება იცინის. რა აცინებს მას? ის, რომ პატაშურმა ოთხი თვის მუშაობაში გამოიყვანა 246 დღე; თუ ის, რაოდენ ტრაღიულია მთელი ეს კოლექტიური სისტემა?!

რომ ჯარიმა, დასჯა და სხვა ადმინისტრატიული ზომები ხშირად უკანონოდ ხდება, ეს იგულისხმება; ისიც, რომ — ბევრი ფული იჭმება მმართველი აპარატის მიერ — (აღსარება ბერიასი!).

მერმე ვინ არის ამის გამკითხავი? წესდების ძალით უნდა იყოს: საზოგადო კრება, თავჯდომარე, ბრიგადირი, მოანგარიშე და სარევიზიო კომისია. მაგრამ თუ საზოგადო კრებას არ იწვევენ, თავჯდომარე და მოანგარიშე ერთად ქეიფობს და იჯიბებს; და სარევიზიო კომისია კი არსად სჩანს, მაშინ?! — მიითვისეთ, ჩაიჯიბეთ, იქეიფეთ, რამდენიც გნებავთ; თურმე, ბერიას სიტყვით, კოლმეურნეობის უმრავლესობას არც კი ჰყოლია სარევიზიო კომისია.

მე განგებ გავჩერდი ამ ნაკლთა აღნიშვნაზეო, ამბობს ბერია, რომ იგი სწრაფად გამოვასწოროთო, თორემ სადაც წესდება კარგადაა განხორციელებული, იქ სრული გამარჯვებაა მიღწეულიო! დავიჯეროთ? ვერ დავიჯერებთ. საქმე წესდება კი არ არის, არამედ თვით სისტემა. რომელიც ყალბია და ეკონომიურად შეუსაბამო და მას ვერავითარი წესდებაც ვერ უშველის! რომ ეს ასეა, თვითონ ბერიას მოხსენებიდან სჩანს, რომელიც საბჭოთა მეურნეობას — სოვხოზებს — ეხება.

საქართველოს ე. წ. გასაბჭოების 15 წლის თავზე რომ სტალინმა მიიღო ქართველ მშრომელთა დელეგაცია მოსკოვში, მაშინ მას მიუთითებია იმ მოვლენაზე, რომ საქართველოში სოვხოზთა რიცხვი დიდიაო; რომ ბევრი სოვხოზი შექმნილია გლეხთა მიწებზე, მაშინ როცა იქ მიწის ნაკლებობაა და ამიტომ საჭიროა სოვხოზთა რიცხვის შემცირებაო. ვის უნდა დააბრალონ ასეთი უმზგავსი ამბავი და ბოროტება? სტალინს ხომ ვერ დააბრალებენ? არც ბერია დაიბრალებს ამას! მაგრამ ბრალდებული უკვე მონახულია; იგია: საქართველოს ბოლშევიკური ცეკა, რომელიც არსებობდა 1929 — 1931 წლებში. და აბა, მოსცხო ბერიამ მაშინდელ ცეკას!

სტალინის მითითების განხორციელება, რასაკვირველია, სავალდებულოა და დაიწყო ჩვენში სოვხოზების გაუქმება. სოვხოზების 111.737 ჰექტარი და სხვა ქონება გადაეცა კოლმეურნეობებს; გასაუქმებელ დანარჩენ სოვხოზთა მიწა — 12. 412 ჰექტარი მიეჭრება დასარჩენ სოვხოზებს, სკოლებს, დასახლების ფონდს და სხვა. მაშასადამე: ბოლშევიკური ეს საყვარელი პირმშო თავისივე ხელით გამოასალმეს წუთისოფელს და დამარხეს. რატომ? ნამდვილი ახსნა მხოლოდ ერთია: — ეკონომიურად გაუმართლებელი იყო სოვხოზების არსებობა, თორემ ასეთ თვით - მკვლელობიას ვინ გიჟი ჩაიდენდა?! რომ ეს ასეა, სჩანს თვით ბერიას მოხსენებიდან: — როცა წამოიჭრა საკითხი ბევრი სოვხოზის გაუქმების შესახებ, საქ. ბოლშ. ცეკამ დაიკისრა დარჩენილი სოვხოზები **“ერთი — ორი წლის განმავლობაში გარდაჰქმნას მართლა სამაგალითო სარგებლის მომტან** (რენტაბელურ) **საბჭოთა მეურნეობათ**“-ო. რა გასაკვირია! გეგმის მიხედვით მაგალითად: წინანდალის სოვხოზში ერთი ცენტნერი ყურძენი უნდა ღირებულიყო 106 მანეთი, — ნამდვილად კი ღირდა 240 მან.; ნაფარეულში უნდა ღირებულიყო ერთი ცენტნერი ყურძენი — 371 მან.; ნამდვილად კი დაჯდა — 1. 585 მანეთი და სხ. ასეთი მრავალი. გააუქმეს, თითქო ანგარიში გაუწიეს უმიწობას! რა მტკნარი სიცრუეა!

და იცით რა ხდება სოვხოზების გაუქმების დროს? — სცარცვავენ, იპარავენ ქონებას, საქონელს ჰკლავენ და ჰყიდიან, ითვისებენ და ასაჩუქრებენ...

საქართველოში აწი დარჩება 121 სოვხოზი, უმთავრესად კულტურების, ჩაის — 15; ციტრუსების — 16; სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა — 8; ვაზის — 16; ხილის — 5 და სხვა.

და ყველა ამის შემდეგ რა უფლება აქვთ ბოლშევიკებს იყვირონ წარმატებაზე? გამარჯვებაზე? ეს ხომ სრული დამარცხებაა?!

## 2. ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში

### ჩაი

1936 წლის ივლისისათვის საქართველოში არსებობდა 35 . 600 ჰექტარი ჩაის პლანტაცია; გეგმის მიხედვით 1940 წ. ჩაის არემ უნდა მიაღწიოს 50.000 ჰექტარს.

1935 წ. თითო ჰექტარზე მოწეულია ნედლი ჩაი 1. 400 კილოგრამი; 1936 წ. გეგმით უნდა მოკრებილიყო ჰექტარზე 1. 600 კილოგრამი.

თურმე ასეთი ამბავი „იქნება ჩვენ კოლმეურნეობათა და სოვხოზებისათვის უსათუოდ მიღწევა"-ო, ამბობს ლ. ბერია. და როგორი მიღწევაა, როდესაც თვითონვე იგი იძულებულია დაუმატოს: — მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან შორსა ვართ ჩამორჩენილი ჩაის პლანტაციების მოსავალისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძოდ იაპონიაში".

და გვექადება ლ. ბერია, რომ 1940 წ. თითოულ ჰექტარზე 3. 000 კილოგრამ ჩაის მოვიყვანთო! მაგრამ ეს დებულება საეჭვოა, ვინაიდან ჩაის მეურნეობაში მუშაობა თავის დონეზე დღესაც არა სდგას! ლ. ბერია ბრალდებას უყენებს უმთავრესად ხელმძღვანელებს, კარგად არ აწყობთ მუშაობასო! მაგრამ ჩვენც ვიკითხოთ: რატომ მუშაობენ ცუდათ? ბერია ამბობს, რომ „ჩაი არის უმნიშვნელოვანესი კულტურა სოფლის მეურნეობისა საქართველოში. ჩაის განვითარებით კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი მიდიან დოვლათიანი ცხოვრებისაკენ"-ო. თუ ჩაის მეურნენი კეთილი და მდიდარი ცხოვრებისაკენ მიჰყავს ჩაის, — მაშ გიჟი ყოფილა ის ხალხი, , რომელიც კარგად არ მუშაობს! მაგრამ საიდუმლოება თვით ეკონომიურ სისტემაში იმარხება. კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობაში ანუ ამ უპატრონო სახლში მხოლოდ ძალით თუ ამუშავებენ, და ეს ასე ხდება, სინამდვილეა! მაგრამ ნაშრომის ხელფასს მუშა ვერ ღებულობს სათანადოთ და საბჭოთა სახელმწიფო მას მონურ ექსპლოატაციას უხდენს. ის 44 მილიონი მანეთი, რომელიც კოლმეურნეობებს ჩაიში უნდა მიეღოთ შარშან, ალბად მცირეა და მშრომელსაც, როდესაც მას საკუთარ ნაშრომს ხელიდან აცლიან, აღარა აქვს ხალისი „კარგად" იმუშაოს!

### ციტრუსი

1936 წ. ციტრუსების არე უდრიდა 3. 777 ჰექტარს, — აქედან — მანდარინი — 3. 245 ჰექ., ლიმონი — 434 :., ფორთოხალი — 95 ჰექტარი.

საკავშირო სოვნარკომმა 1935 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილებით უბრძანა საქართველოს 1940 წლის დასასრულისათვის გაზარდოს ციტრუსების არე 20. 000 ჰექტარამდე, მოსკოვს რა ენაღვლება! საქართველომ გაზარდოს და მან მიირთვას!

### ვაზი

1900 წელში საქართველოს ზვარი უდრიდა 70. 000 ჰექტარს. ლ. ბერია ამბობს, რომ ფილოქსერამ ომმა და მენშევიკებმა დალუპეს ვენახი და ახლა, 1936 წ. მისი ფართობი უდრის მხოლოდ 37. 000 ჰექტარსო! მაგრამ აქედან სოვხოზებს ეკუთვნის — 2. 258 ჰ., კოლმეურნეობებს — 3. 590 ჰ. და ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 31. 152 ჰ. ოცი წლის სიგრძეზე თითქმის გაპარტახებული და განახევრებული ვენახი ბოლშევიკურ ფილოქსერებს დღემდე ვერ დაუპყრიათ! მაგრამ საბჭოთა კავშირის სოვნარკომს 1936 წლის ივლისის 28-ს უბრძანებია 1940 წლისათვის ვენახის ფართობი 60. 000 ჰექტარამდე აიყვანეთო! ამ ბრძანების მიზეზი ვიცით: როგორც ბერია ამბობს, — ჩვენ უნდა მივცეთ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთ საუკეთესო ზე კარგი ღვინო და შამპანურიო!... და აბა კახელ გლეხს ჰკითხეთ: სურს თუ არა მას მისცეს ღვინო, მწარე შრომის ნაყოფი გამცარცველ ფასებში მოსკოველ მუჟიკს? და რაღა გასაკვირია, რომ ქართველი მშრომელი არა ცდილობს გაზარდოს თავისი ვენახი, დააყენოს კარგი ღვინო! რომ ეს სინამდვილეა, მტკიცდება თვით ბერიას სიტყვიდან, რომელიც ამბობს, რომ „საგრძნობლად ავუწიეთ ფასები გლეხების მიერ ჩაბარებულ ყურძენზე"-ო!

„საგრძნობლად ფასების აწევა" არა გვგონია უდრიდეს დანახარჯს, თავი რომ მოგებას დავანებოთ! ამ შემთხვევაში ხომ საბჭოთა ეკონომიკა, რომელიც მშრომელთა ექსპლოატაციეზეა აგებული ვეღარაფრით ისარგებლებდა ვერას მოიგებდა!

### ხილი

ხილის ფართობი საქართველოში უდრის 24. 900 ჰექტარს.

„უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს ხილის მომხმარებელი, საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეშიაც უნდა იყოს, იცნობდეს და აფასებდეს ქართულ ხილს", „ჩვენ ვაძლევთ ხილს მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, ხარკოვს და შორეულ აღმოსავლეთსაც".. „მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეხილეობაში ჩვენი პარტიული, საბჭოური და პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდათ მუშაობენ"-ო, ამბობს ლ. ბერია, მაგრამ მაინც გვპირდება, რომ ახლო მომავალში ხილის ფართობი უნდა გაიზარდოსო! რატომ მუშაობენ ცუდათ? თხის პატრონს, თხის კუდიც აღარ რჩება!

### თამბაქო

ახლა საქართველოში თამბაქოს ფართობი უდრის — 19. 639,9 ჰექტარს; აქედან კოლმეურნეობას ეკუთვნის — 15. 650 ჰექტ. და 1935 წ. მოწეულია 14. 832 ტონი თამბაქო. მაგრამ ამბოლო დროს, ბერიას თქმით, თამბაქოს საქმეში ჩამორჩენილობა ეტყობა და ეს ნაკლი უნდა გამოსწორდესო! წელს თამბაქოს არე უნდა გაიზარდოს 1000 ჰექტარით, რომლიდანაც 500 ჰექტ. უნდა დაითესოს ბორჩალოს რაიონში. რასაკვირველია, გვპირდებიან თამბაქოს არეთა კვლავ გაფართოებას რუსეთის საფეშქაშოდ!

### ტუნგა

საქართველოში ახალი კულტურაა ტუნგა; 1930 წელს იყო ტუნგის მხოლოდ 1 ჰექტარი და 1936 წ. უკვე არსებობდა 4. 716 ჰექტ. ახლო მომავალში უნდა დაინერგოს 5. 000 ჰ. ტუნგა ძვირფასი ხეა; იგი იხმარება ავიაციაში და სამხედრო-ქიმიურ მრეწველობაში და ვინა-

იდან იგი იზრდება დასავლეთ საქართველოში და ასეთი დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მის პლანტაციისათვის კოლმეურნენი ათ მილიონ მანეთს მიიღებენ! მაგრამ რადგან ეს ხე ახალი და უცხოა, — მისი მოვლა უძნელდებათ, ან იქნებ სარგებლობას ვერ პოულობენ მშრომელები! ეს უკანასკნელი მიზეზი უფრო სწორად მიგვაჩნია.

## დაფნა

დაფნა იხმარება საჭმელის მრეწველობაში, განსაკუთრებით, კონსერვების წარმოებაში. საქართველო არის დაფნის მთავარი მიმწოდებელი; დაფნაზე მოთხოვნილება უდრის 2. 000 ტონს; საქართველო კი აძლევს რუსეთს 700 ან 750 ტონს. ეს დიდი ნაკლია! 1936 წ. დაფნით დაფარული იყო 1. 391 ჰექტარი; ვინაიდან დაფნის მოკრეფა შეიძლება ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, და ყოველ წელს კი ჰკრეფენ ამჟამად; ამიტომ ამ დარგს განადგურება მოელის.

საქ. ცეკამ ახლახან წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის, რუსეთის ცეკას გადასინჯოს ფასები დაფნის შესახებ, — აი საიდუმლოება (აშკარა მხოლოდ!): — დაფნის ფასსსაც მოსკოვი აწესებს. და როგორ გნებავთ: კარგად იმუშაოს ქართველმა, მოუაროს და თავს შემოევლოს ამ ძვირფას კულტურას: დაფნას! და ბერია კი ჰპირდება მოსკოვს — 1940 წ. დაფნის ფართობს 4. 000 ჰექტარამდე გავზრდითო!

ამგვარადვეა ძვირფასი კულტურების სხვა დარგებშიც!

## მარცვლეულობა

სპეციალურ და ტექნიკურ კულტურების (ჩაი, ბამბა, ციტრუსი, დაფნა, და სხვა) გარდა, რასაკვირველია, მეურნეობის მთავარ დარგად რჩება და დარჩება მარცვლეულობის კულტურები (პური, სიმინდი, ღომი, ქერი დ სხვა). მაგრამ ბუნებრივად ისმის საკითხი: — თუ უნდა გააფართოონ ჩაის ასპარეზი; გაზარდონ ციტრუსების არე; გაადიდონ დაფნის ტყე; გაამრავლონ ბაღები; ასწიონ მეხილეობა; ყურძენს მისცენ ფართო უტევანი; — ერთი სიტყვით: თუ უნდათ გაამრავლონ სპეციალური და ტექნიკური კულტურები, — სადღაა ამდენი მიწა საქართველოში, რომ მარცვლეულობის კულტურებიც ჭარბად მოიწიონ და საკუთარი პურ-სიმინდითაც საქართველოს მოსახლეობა დააკმაყოფილონ?! სპეციალური და ტექნიკური კულტურების გავრცელება - გაფართოების პირობებში შესაძლებელია მარცვლეულობის კულტურების აწევაც და გაზრდა? ზეციდან ხომ არ ჩამოზიდავენ მიწას მარცვლეულთა დასათესად?!

1931 წ. დაითესა 773. 000 ჰექტარი და 1936 წ. უკვე — 838. 000.

1931 წ. ქირნახული მოვიდა 37. 600. 000 ფუთი და 1935 წ. მოიწიეს უკვე 52 მილიონი ფუთი.

ლ. ბერია გვპირდება: ვინაიდან სტალინმა ბრძანა, — 1940 წლისათვის 80 მილიონი ფუთის ქირნახულს მოვიყვანთო! იგი გვპირდება, რომ გააფართოებს სახნავებს და ასწევს თითოულ ჰექტარზე ქირნახულის მოყვანას! მოკლედ რომ ვსთქვათ: ბერია ფიქრობს: რომ 1940 წ. საქართველო თვით დაიკმაყოფილებს თავს თავისი საკუთარი ქირნახულით! კეთილი და ბედნიერი!

ამჟამად საქართველოს სჭირდება პური წლიურად დაახლოებით 75 მილიონი ფუთი; ბერია ამბობს, რომ 60 მილიონი თვით საქართველოს მოჰყავს და დანაკლისი — 15 ან 16 მილიონი ფუთი საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებიდან შემოგვაქვსო! ღმერთმაან ჰქმნას, საქართველოს ძვირფასი კულტურებიც გაემრავლებინოს და პურიც საკუთარი საკმაოდ მოეწიოს! ჩვენ ეს არა გვჯერა. არა სჯერათ ეს არც საქართველოში! ეს სჩანს იქიდან, რომ ბერია ებრძვის „ვიღაცას“, როდესაც გაჰყვირის: — „როცა ვამბობთ მარცვლეულობის კულტურათა თესვის გაფართოების აუცილებლობაზე, ხშირად მოიპოვებიან პირები, რომელნიც მარცვლეულ კულტურების განვითარებას უპირდაპირებენ ტექნიკურ კულტურების ან მეცხოველეობის განვითარების ამოცანებს, და მიუთითებენ მიწის სიმცირეზე. ეს განწყობილება არის კონსერვატორული და მავნე“. ასე ამბობს ბერია და რადგან იგი ამბობს: ძვიფასი კულტურებიც უნდა გაიზარდოს და მარცვლეულობის თესვისათვის 1940 წ. 900. 000 ჰექტარიც უნდა დამზადდესო, — ალბად ასეც იქმნება: — იგი ხომ მიწას ზეციდანაც ჩამოზიდავს!

## კოლხეთის დაშრობა

არა ჩვენ ეს არა გვჯერა! ადამიანის განუსაზღვრელ ოცნებასაც კი ზღაპარში არ უთქვამს ასეთი ამბავი! ზეციდან მიწას ბერია ვერ მიიღებს, მაგრამ კოლხიდის ჭალებში რომ ხეირიანად ემუშავნათ, ქართველი ერის გამაბედნიერებელთ იქნებ ორიოდე ათიათასი ჰექტარი მიწა მართლა განეთავისუფლებინათ ჭაობისაგან და ხალხიც ციებისაგან გადაერჩინათ!

როგორი ყვირილით! რა ტრაბახით! ვითარი ალიაქოთით დაიწყეს ბოლშევიკებმა კოლხეთის ამოშრობა! განცვიფრებული ვიყავით იმ აურზაურით და თან ვნატრობდით ასე: ღმერთმან ჰქმნას, ბოლშევიკებმა ეს ჭაობები მაინც დააშრონ, ეს იქნება უდიდესი ეროვნული საქმეთქო! და მუდამ გაფაციცებით ვეძებდით ცნობას ამ მუშაობის შესახებ! კომუნისტური გაზეთები ნიადაგ ტრაბახით გვაყრუებდენ და არ ვიცით: იქნებ ბერიაც იკვეხნის; მაგრამ მოვუსმინოთ მას; აღმოჩნდება, რომ კოლხეთის დაშრობა მეტად ძნიადი ყოფილა და საქმეც ისე ცუდათ წაყვანილი, რომ შედეგები მეტად კნინი!

კოლხეთის ველთა დაშრობა დაიწყო 1925 წ.; ამ დროიდან 1932 წლამდე დაიხარჯა 4. 300. 000 მან. და დაშრობილ იქმნა მხოლოდ 300 ჰექტ.. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში 1932 — 1935 წწ. დაიხარჯა 29 მილიონი მან.; 1936 წ. 10 მილიონამდე. ამ ხარჯების შედეგად მიღებულია მხოლოდ 2. 000 ჰექტარი მიწა!

სტალინი ძალიან დაინტერესებული ყოფილა კოლხიდის ამოშრობით და ხშირად კითხულობს ხოლმე ამ მუშაობის ამბავსო; და დარიგებაც მიუცია იქ მომუშავეთათვის, მაგრამ კომისიაც გამოუგზავნია, — და რა აღმოჩნდა? —

„გასინჯის შემდეგ დაადგინეს, რომ დაშრობისათვის მუშაობა ჯერ კიდევ ცუდათ ხორციელდება. მუშაობის გაბნევასთან ერთად ცუდათ მოწყობილია მისი ხელმძღვანელობა. მუშაობის ფასი მეტად მაღალია... უკვე გაკეთებული მთავარი არხები საჭიროებს შეკეთებას, რადგან ისინი მეტად ატალახებულია და ამის შედეგად წყა-

ლის გაშვების უნარიანობა 30 — 40 პროცენტით დაწეულია; მდინარეთა ნაპირების გამაგრება ცუდია... ახალი ჭაობები ჩნდება... ცუდათ მიმდინარეობდა გზის მშენებლობა“... და სხვა და სხვა... მერმე?

როცა აღმოჩნდა ასეთი ჭარბი ხარჯები და მცირე ნაყოფი:! — დაადგინეს შემუშავებულ იქმნას კოლხიდის დაშრობის ტექნიკურ - ეკონომიური პროექტი, რომლის მიხედვით 1940 წლისათვის დაშრობილ უნდა იქმნას — 40. 000 ჰექტარი!

და აქ დახატულია თვალწარმტაცი სურათი: თუ როგორი იქნება მომავალი კოლხეთი და რა დიდებული ქალაქი: ფოთი და მისი ნავთსადგური!

როგორც ვხედავთ, თერთმეტი წლის განმავლობაში დაშრობილ იქმნა 2. 300 ჰექტარი და დახარჯულ 44 მილიონ მანეთამდე. მაგრა მუშაობაც რომ ცუდათაა შესრულებული! და ამას სხვას აბრალიან. თავისთავს, მაშ. როგორ დააბრალებენ! და ბერია მოითხოვს „საუკეთესოდ მოწყობილ იქმნას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა“ სტალინური დროშით წინსვლა და ათავებს, მრავალი კრიტიკის შემდეგ, რომელიც სხვებს ეხება და არა მას, კონტრევოლუციურ ქოფაკების და ფაშისტურ არამზადების დახვრეტის ამბავით, რასაც კრება ტაშის გრიალით ხვდება!

## რა არის ბოლშევიკური საქართველო?

რა დასკვნის მიღება შეგვიძლია ბოლშევიკური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ? რას გვიკარნახებს აღნიშნული მოვლენები? ეს უბრალო თვალის გადავლებაც კი აშკარად მოწმობს, რომ საქართველოს არა აქვს თავისი. საკუთარი ეკონომიური პოლიტიკა: რომ საქართველოს ნივთიერი ცხოვრება წარიმართება არა ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების მიხედვით; რომ საქართველოს მეურნული მოღვაწეობა განსაზღვრულია მოსკოვის მოთხოვნილებათა ძალით.

ქართული ეკონომიკის დანიშნულებაა ემსახუროს ესესერის მიზნებს და რადგან საბჭოთა რუსეთს აქვს მისწრაფება შეჰქმნას თვითდამაკმაყოფილებელი მეურნეობა, ავტარკია, ამიტომ ქვეყნის გეოგრაფიულ - მეურნულ პირობათა მიხედვით, იგი მოითხოვს საქართველოსაგან დაამზადოს სწორედ ის ნედლი მასალა, რომელიც თვით რუსეთს ან არ გააჩნია, ან საკმაო არა აქვს! ამის გამო ქართული ეკონომიკა ვითარდება არა ბუნებრივად, არა ქართულ ინტერესთა მიმართულებით, არამედ მოსკოვის წადილთა შესასრულებლად. ეს არის კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს უწარმოებია თავის ზღვისგაღმა ქვეყნებში და მოსკოვიც ამ გატკეპნილი გზით მიტორტმანობს.

საქართველოში გატარებულია ნედლი მასალის მოპოვების პოლიტიკა, მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიურ ძალთა თავისუფალი განვითარების შებორკვით და ყვლეფის, ექსპლოატაციის განხორციელებით. ეს მოვლენა არ არის და არც არავის ეგონოს რომ იგია საბჭოთა რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის უბრალო ნაკლი ან მანკი, — ესაა ამ პოლიტიკის არსი; მაგრამ ამას ემატება სხვაგან გაუგონარი და წარმოუდგენი მოვლენა: - საქართველოში მოწეულ ჭირნახულზე თუ სხვა ნედლ მასალაზე მოსკოვი აწესებს ფასებს! კაპიტალისტურ - იმპერიალისტურ ქვეყნებში ფასი თავისუფალია მაინც და სოციალისტურ - ბოლშევიკურ - იმპერიალისტურ ქვეყანაში კი ჩვეულებრივ ექსპლოატაციასთან ერთად ფასების ექსპლოატაციაც ხდება! უბრალოდ რომ ვსთქვათ: — ყოველ ცისმარა დღეს დაუზოგველი და შეუწყალებელი ცარცვა-გლეჯა ხდება საქართველოში და უდიდესი ავაზაკი თვით მოსკოვი არის. და რად ჯავრობს, ან რადაა განცვიფრებული ლ. ბერია, რომ ზუგდიდელი დაფნას არ უვლის; ოზურგელი — მანდარინს; ოკრიბელი — ლობიოს; გორელი — ვაშლს; მუკუზანელი — ვენახს?! და სხვა! რა დამნაშავეა კოლმეურნეს თავჯდომარე ან მდივანი, ან ამ მცარცველი აპარატის სხვა მოხელე?! თვით ეკონომიური სისტემაა ბედკრული და დამაქცევარი ქართველი ხალხისა; თვით საბჭოთა მეურნეობაა ყალბ ნიადაგზე მოწყობილი და საქართველო რუსეთის კოლონიად გადაქცეული! აქ, ამ პირობებში არავითარი გამოსავალი არ არის, — ეს პირობები სავსებით უნდა შეცვლილ იქმნას და მისი შეცვლა შეუძლია მხოლოდ პოლიტიკურ წარღვნას, რომელიც თვით რუსეთსა და მის ეკონომიურ პოლიტიკასაც შთანთქავს.

**ბ. ვარდანი**

## სხვა და სხვა

### შოთას იუბილეს გარშემო

შოთას იუბილეისათვის გამოიცემა კრებული: „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება შემდეგი შრომები: გ. ვ. წერეთელი: ნესტან-დარეჯანი შუააზიის არაბულ ფოლკლორში; კ. ი. ჩაიკინი: სამი ესკიზი საქართველოს და ირანის კულტურული კავშირის ისტორიიდან; ნ. ა. ბერძენიშვილი: სავაჭრო გზები და ცენტრები რუსთაველის ეპოქაში; ი. ამირანაშვილი: რუსთაველის იკონოგრაფიისათვის; ს. ნ. ჯანაშია: რუსთაველის საზოგადოებრივი არე.

— „საქ. კ. პ. ც. კ.-ისა და მთავრობის ცნობილი ისტორიული დადგენილების თანახმად, 1937 წ. შემოდგომას შ. რუსთაველის 750 წ. იუბილესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის დიდი გამოფენა უნდა მოეწყოს. ამ ამოცანის განხორციელების გასაადვილებლად დაარსებულია „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი.

„მუზეუმის სამოქმედო ასპარეზი მე - 11 — მე - 13 საუკუნეებით არის შემოფარგლული... წინასწარ შედგენილი გეგმა მთელ სამუშაოს სამ მთავარ სექტორად ჰყოფს: ერთს სალიტერატურო სექტორი შეადგენს — პ. ინგოროყვას ხელმძღვანელობით; მეორეს — ხელოვნებისა — დ. შევარდნაძის და მესამეს — ყოფაცხოვრებისა — პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

„ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს. გამოფენამ უნდა მნახველს უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდენ საქართველოში მე- 11 — მე- 13 საუკუნეში, როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, მისი წესწყობილება. გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს როგორც სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, აგრეთვე რაინდობის წესები წარმო-

იდგინოს, ილოდენ რას იცვამდენ და იხურავდენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭლეული ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლველი იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ მეურნეობას, მემინდვრეობას, მევენახეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა...

„საქართველოს სახელმწიფოებრივი კულტურის თანდათანი ზრდის, გაფართოებისა და გაღრმავების გასათვალისწინებლად გამოფენილი იქნება 11 — 13 საუკუნ. პოლიტიკური რუკა, რომელზედაც ამ ხნის სახელმწიფოებრივი საზღვრები აღინიშნება... გამოფენაზე რაინდობის გარეგნული გამოხატულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი შეჭურვილი რაინდის სახით მაინც...

„ისტორიული კედლის მხატვრობისა და მინიატურების მიხედვით წარმოდგენილი იქნება იმდროინდელი აბჯრისა და ყოველგვარი საჭურველის სურათები... ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, სამკაული...

„ქსოვილების ტექნიკური შესწავლა და საქსოვი იარაღის, ისევე, როგორც ღებვის წესების განხილვა-შეფასება დოქტ. ინჟ. ვალერიან ახვლედიანს აქვს დავალებული...

„მაშინდელი ავეჯის შესასწავლად და წარმოსადგენადაც სწარმოებს მუშაობა... ჭურჭლეულის ყოველმხრივ შესწავლა უფროს მეცნ. თანამშრომელს ლ. მუსხელიშვილს აქვს მინდობილი, ტეხნოლოგიური საკითხების კონსულტაცია ინჟ. ფიცხელაურს...

„გამოფენის დამთვალიერებელს რომ სასოფლო მეურნეობის დარგების მაშინდელი დონის ნაწილობრივ გათვალისწინების საშუალება ჰქონდეს, დაევალათ პროფ. ლ. დეკაპრილევიჩს და დოც. ვ. მენაბდეს, საქართველოს თანამედროვე მეურნეობაში იმდროინდელი კულტურის შერჩენილი წარმომადგენლების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, მათი ნიმუშების, თავთავის სახით და მარცვლად შეგროვება ... იმდროინდელი მევენახეობის დონის გასათვალისწინებლად გამოფენილი იქნება მაშინდელი საუკეთესო ვაზ-ყურძნის დღევანდლამდე შერჩენილი ჯიშების ლერწამი და სხ. დავალებული აქვს პროფ. ს. ჩოლოყაშვილს ყურძნის თითოული ჯიშის თვისების გამოკვლევა...

„მაშინდელი შინაური ცხოველების შესწავლა დავალებული აქვს პროფ. ილ. ჯანდიერს...

„სასოფლო-სამეურნეო ინტენსიური წარმოება და კულტურული ყოფაცხოვრების მაღალი დონე უწყალსადენოდ და უსარწყავარხებოდ წარმოუდგენელია. თამარის ბრძანებით ისეთი დიდი არხები იყო გამოყვანილი, როგორიც ალაზნისა და სამგორისა, შიომღვიმეს ორი წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ანტონ მწიგნობართ - უხუცესმა და ვაზირთა უპირველესმა, სხალტბიდან გაუკათა გამოყვანილი წყალსადენი. სხვაც ბევრია ამის მსგავსი. გამოფენაზე ალაზნის არხის გეგმა, ნახაზები და ფოტოსურათები იქნება წარმოდგენილი; შიომღვიმის წყალსადენის ტექნიკური თვალსაზრისით შესწავლის შედეგიც ალიბეჭდება და წყალსადენების თვით მილები, წყალსაცავი და სხვა მოწყობილებაც გვექნება. ამ საკითხის შესწავლა-გაშუქება ინჟ. დ. ლოსაბერიძეს აქვს დავალებული.

„ცნობილია, რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო. ამიტომაც მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფაცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო..... ამის გამო ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიურ გათხრას შევუდექით. წარსული წლის თხრამ, რომელიც დოც. ლ. მუსხელიშვილის მეთაურობით და პროფ. გ. ჩუბინაშვილის კონსულტაციით სწარმოებდა, ეს მოლოდინი გადააჭარბა და სრულიად გაამართლა...

„განსაკუთრებული ყურადღება მიმოსვლისა და სავაჭრო გზებსაც აქვს მიქცეული. ამ საკითხის შესწავლა და გზათა ქსელის რუკის დამზადება დოც. ნ. ბერძენიშვილს აქვს დავალებული. საგანგებოდ შესწავლილ იქნება თამარ მეფის ბრძანებით გაყვანილი პირდაპირი გზა თბილისიდან ჯავახეთში და გადასავალზე აგებული ფუნდუკები (სასტუმროები)...

„უეჭველია, მომავალ გამოფენის ერთი საინტერესო ექსპონატთაგანი მე- 11 — 12 საუკუნის თლილი ქვით ნაშენი ქართული ასომთავრული დიდტანიანი წარწერით შემკული ხიდის ფოტოსურათები, განაზომები, გეგმა და აკვარელით ნახატი საერთო შესახედაობა იქნება, რომელთა სათანადო სპეციალისტების მიერ დამზადება-შესწავლის ხელმძღვანელობა პროფ გ. ჩუბინაშვილმა იკისრა..

„წარმოდგენილი იქნება საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და უცხო ფულების მთელი კოლექციაც.. ნუმიზმატიკური კოლექციის შერჩევა, ფულის გავრცელების რუკის შედგენა და ამ საკითხზე მონოგრაფიული ნაშრომის დაწერა დოც. თამარ ლომოურს აქვს მინდობილი...

„წარმოდგენილი იქნება იმდროინდელი აბანოების გეგმის ნახაზები და ფოტოსურათები, სხვა და სხვა ხელობის, მწიგნობრობის, ჭედვითი, მეჭურჭლეობის და სხ.... ეს მინდობილი აქვს პროფ. გ. ჩუბინაშვილს...

„თუ რა ლექსიკური მარაგი ჰქონდა ქართულ მწერლობას მე- 11 საუკუნემდე და რა შესძინა ქართულ ენასა და მწერლობას 11 — 12 საუკ. შემოქმედებითმა მუშაობამ კულტურის დარგში... ამის გამოსარკვევად... გონებრივი და მატერიალური კულტურის სატერმინოლოგიო და რეალიების ისტორიული ლექსიკონის შედგენას შევუდექით წერილობითი ძეგლებისა და სხვა წყაროების მიხედვით“...

(„კომუნისტი“, ნომერი 55. პროფ. ივანე ჯავახიშვილის წერილიდან: „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“).

— საკვლევო ინსტიტუტი ამზადებს გამოსაცემად **„რუსთაველის აფორიზმებს პლაკატებად საშუალო სკოლისათვის“**. აფორიზმები დაბეჭდილი იქნება ქართული სტილის ორნამენტიან ჩარჩოებში.

— სოფ. გორდის კოლმეურნეები დიდი ინტერესით ემზადებიან შოთას იუბილეისათვის. სოფლის კლუბში რამოდენჯერმე მოეწყო ხალხური ვეფ.-ტყ. საუკეთესო მთქმელი მოხუცების გამოსვლა.

— პროფ. შ. ამირანაშვილი კითხულობს ლექციებს: — რუსთაველის ეპოქის კედლის მხატვრობა.

## ილია ჭავჭავაძის იუბილე

რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ი. ჭავჭავაძის და-

ბადების 100 წლის თავისათვის ბეჭდავს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულს. წიგნი 20-ფორმიანი იქნება; მას გამოსცემს თბილისის უნივერსიტეტი ქ. ორაგველიძის და ა. დუდუჩავას რედაქციით. წიგნში თავისი სტატიებით მონაწილეობას მიიღებს ოცზე მეტი ავტორი; კრებულს დართული ექნება ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა პორტრეტები.

— ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომისიამ დაადგინა ილიას იუბილე გადახდილ იქმნას 1937 წ. 23 სექტემბერს, ხოლო მოხსენებები და სხვა ივნისის შუა რიცხვებიდან. გამოყოფილ იქმნა რამოდენიმე კომისია. პირველ კომისიას დაევალა ილიას თხზულებათა აკადემიური მასობრივი, პოპულიარული და თარგმანების გამოცემა. მეორე კომისიას დაევალა ილიას აკადემიური ბიოგრაფიისა, იკონოგრაფიული ალბომისა და დოკუმენტთა კრებულის გამოცემა; მესამე კომისიას — ილიას ძეგლისა და ობელისკის პროექტის შემუშავება. გადაწყვეტილია ილიას თხზულებათა გამოცემა რუსულ, სომხურ, უკრაინულ, თურქულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე.

— საქ. მწ. მუზეუმი შეუდგა მუშაობას ილიას საიუბილეო დღეებისათვის სპეციალური გამოფენის მოსაწყობად. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მრავალი მასალა ილიას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის დასახასიათებლად და სხ.

# მოგონებანი

## აკაკი წერეთელი

როცა აკაკი ქართლ-კახეთს ეწვია 1882 წელს, მთელი ქართლ-კახეთი მას მიეგება და ამის გამო ილია ჭავჭავაძე შემდეგს სწერდა: — „ერთგანა და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და მგრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართულისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის ვამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ ილვაწა და თავისი ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა. ვამბობთ, ინახულა, იმიტომ, რომ საქართველოს და ქართულის სიყვარულისაგან [illegible] პატივის ცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს... და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკავნესებია თავისი ტკბილი ჰანგი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტყვით სავსე ქართული. სადაც წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერობით ასავსე გულითა. აგრე თითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დაწერგულისა და დათესილისა"...

მაგრამ მას შემდეგაც აკაკის არ შეუწყვეტია თავისი სიმღერა საქართველოზე, რომელსაც აღვიძებდა ეროვნული ბრძოლისათვის და საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ აკაკის ლექსი იქ არ შეჭრილიყო. მახსოვს: ჩემი სვანეთში ყოფნის დროს, უბრალო სვანებმა გვიმღერეს აკაკის „ამირანი", გვითხრეს აკაკის ლექსები. მახსოვს: ჯავახეთში ყოფნის დროს გლეხებმა გვითხრეს აკაკის ლექსები: გურია, სამეგრელო, იმერეთი, კახეთ, ქართლში უსწავლელთაც კი იცოდენ ზეპირად აკაკის ლექსები და სოფლის ასულები გიტარაზე ამღერებდენ აკაკის „სულიკოს", აკაკის „ჩონგურის" და სხ. და რაღა გასაკვირია, რომ იმ წელს, როცა აკაკის 50 წლის იუბილე გადაუხადეს, ეს იყო მთელი ერის ნამდვილი ზეიმი; რაღა გასაკვირია, რომ ამ დღეს ქუთაისში აკაკის ეტლს ცხენები გამოხსნეს და ეტლს ხალხი თვით შეება!

ჩემი მოწაფეობის დროს, მახსოვს, როცა გავიგებდით, რომ აკაკი ქუთაისში ჩამოვიდაო, გიმნაზიელები გამორბოდენ, მაღაზიებიდან ვაჭრები და ნოქრები გამოდიოდენ და მუშტარნიც ქუჩაში გამოეფინებოდენ ხოლმე: ყველას სურდა აკაკის დანახვა, მისი დიადი თავის დამახსოვრება. ახალგაზრდა პოეტები ამ სიყვარულით სარგებლობდენ და არც ერთი ლიტერატურული საღამო არ გამართულა, აკაკის რომ მონაწილეობა არ მიეღოს. მისი სახელი მუდამ იყო აღბეჭდილი თეატრის აფიშებზე და ხალხიც თეატრს ასკდებოდა.

მახსოვს ერთი ასეთი ლიტერატურული საღამო. თეატრში ტევა არ იყო და აკაკის გამოსვლას ყველა მოუთმენლად მოელოდა. აიხადა ფარდა. ღრმად მოხუცებული აკაკი სავარძელში იჯდა. ხალხი მხურვალე ტაშით შეეგება მას და აკაკიმ გაიღიმა, გაიღიმა და დაიწყო თავისი ტკბილი ხმით:

> არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს
> და ისევე გაიღვიძებს!
> ვინც შენტრის იმის სიკვდილს
> უმალ მასვე დაამიწებს...

და თეატრმა იგრიალა ტაშით.... მერმე დაწყნარდა.... და აკაკი აღარაფერს ამბობს... ღელავს... თვალებზე ცრემლები მოსდგომია... აღარაფერს ამბობს და ხალხი სულგანაბულია... თეატრი შეჰკრთა, შეჩუმდა.... შემაძრწუნებელი მწუხარე სიჩუმე ჩამოდგა... მაგრამ ვიღაცამ გალიორკიდან ხმამაღლა განაგრძო აკაკის ლექსი: —

> ბევრის ბრძოლით დაღალულსა
> ეჭირვება მოსვენება...

აკაკიმ გაიღიმა... თეატრს გულზე მოეშვა; გაგიჟებული მთელი ხალხი ფეხზე წამოვარდა და ტაშით ანგრევდა იქაურობას... აკაკი იღიმოდა, ხოლო ხალხი აღელვებული და თავდავიწყებული, ვაშას ძახილით და ტაშისცემით აყრუებდა იქაურობას... აქ ჩვენ ვიგრძენით იმ წუთას, რომ აკაკი და ხალხი, აკაკი და ჩვენ ერთი და იგივე ვართ, რომ აკაკის ლექსი ყველამ იცის, რომ მის ლექსს ვიღაც აგრძელებს გალიორკაზე, ვიღაც... დიდხანს გაგრძელდა ეს ოვაცია, დიდხანს... ფარდა ისე ჩამოუშვეს, რომ აკაკის ლექსი არ დაუმთავრებია...

ამ რამოდენიმე ხნის წინად აკაკის 20 წლის გარდაცვალებიდან იქ იუბილე გადაუხადეს. გაიმართა მრავალი საღამო. იტყოდა ვინმე ,ნეტავ, იქ აკაკის ლექსს:

დამეხსენი, ჩრდილოელო!
რა მაქვს შენთან საზიარო?
ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო.
რომ მფლობელად ალგიარო!...

ალბად ვერავინ იტყოდა ამ სიტყვას ხმამაღლა. მაგრამ გულში ყველა იფიქრებდა მასზე

ან. ქვლივიძე

## ილია ბრძენის გარშემო

(პატარა მოგონება)

ილიას შევხვდი ერთს მეტად საგულისხმო კრებაზე. ილიას მახლობელი მეგობარი ლევან ჯანდიერი იმ დროს სოხუმის ოლქის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებელი — მოხსენებას აკეთებდა საგლეხო ბანკების დაარსების შესახებ. ლევან ჯანდიერი კარგად იცნობდა გლეხთა მდგომარეობის სიდუხჭირეს. ცხადია, ასეთი პიროვნება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა გლეხთა სხვა და სხვა საჭიროებას და შესაფერ საშუალების გა[illegible]ნაზე იზრუნებდა. უსახსრობა, უფულობა ჩვენს გლეხთა მეურნეობის წარმატებას ხელს ძალიან უშლიდა. ის მცირეოდენი თანხა, რომელიც ესაჭიროებოდა გლეხს, ძნელად საშოვარი იყო მისთვის. თუ ამ თანხას როგორმე ხელთ იგდებდა, უნდა გადაეხადა იმდენი სარგებელი, რომ მთელი მისი ნალვაწ-ნამოქმედარი მუქთახორა მევახშეების ჯიბეში გადასულიყო. აი სწორედ ამ სუსტ მხარეზე ჩვენი სასოფლო მეურნეობისა იყო იმ დროს ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ყურადღება მიქცეული.

რამდენათაც გაგებული გვქონდა, ლევან ჯანდიერის თაოსნობით და შუამდგომლობით რუსეთის მთავრობას იმ დროს განზრახული ჰქონდა სოფლად დაეარსებინა საგლეხო ბანკები. ლევან ჯანდიერი ამ განზრახვას დიდის აღტაცებით შეეგება და ცდილობდა კიდეც საზოგადოების აზრი ამის სასარგებლოდ აემუშავებინა. დაიარებოდა სხვადასხვა დაბა-ქალაქში და კითხულობდა ამ საგნის შესახებ თავის მოხსენებას. ერთი ასეთი მოხსენება მან წაიკითხა ჩვენს დედაქალაქ ტფილისში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

საზ~ბის დიდი ნაწილი დაეწრო ამ მოხსენებას. სანა[illegible] კრება გაიხსნებოდა, კერძო საუბარი იყო გამართული სხვა და სხვა ჯგუფებში და ეტყობოდა, რომ ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მთავრობის განზრახვას. ის-ის იყო კრება უნდა გახსნილიყო, რომ მოულოდნელად დარბაზში ფეხი შემოსდგა ჩვენმა ილიამ. საზოგადოებაში გაისმა ხმა: „ილია მობრძანდა“-ო. და მთელი დამსწრე საზოგადოების ყურადღება მისკენ მიიქცა. ილია დინჯის ნაბიჯით გაემართა თავისუფალი სკამისაკენ სულ ბოლოში და იქ დაჯდა. მთელი ხალხი აიშალა და სთხოვეს მას დაეჭირა ადგილი წინა რიგში, მაგრამ ილიამ ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა. თვით მომხსენებელი ჯანდიერიც ეახლა და შემდეგი სიტყვებით მიჰმართა თავის მეგობარს: „რისთვის მობრძანებულხარ“?. ლევანმა რაღაც იგრძნო წინასწარ, რომ მის გეგმას ჩაშლა მოელოდა. ილიამ წყნაროის[illegible]ოგში და ღიმილით მიუგო: „ქვეყანას იწვევთ გასანათლებლად და მეც მოვედი“-ო. ლევანმა უთხრა: — „მე ვიცი, რისთვისაც მოხვედი, გინდა ჩემი საქმე ჩამიშალო; მე აღარ წავიკითხავ მოხსენებას“-ო... და თითქოს გულმოსულმა მოხსენება უბეში ჩაიდო. რასაკვირველია, ეს უბრალო მუქარა იყო

საზოგადოება ახმაურდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ლევან ჯანდიერი შეუდგა თავის მოხსენების კითხვას. მისმა დასაბუთებულმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დამსწრე საზოგადოების გული მოინადირა. ბევრმა დამსწრეთაგანმა მიიღო მსჯელობაში მონაწილეობა. ირგვლივ მოწონების ხმა გაისმოდა: „იქნება ამ ბანკებმა იხსნას ჩვენი გლეხობა წვრილ წურბელებისაგან“-ო. მოლაპარაკეთა სია ამოიწურა. ჩვეულებისამებრ დამსწრე საზოგადოებაში გაისმა ხმა: „ახლა ილიამ ბრძანოს“-ო. ილიამ თავისებური სიდინჯით მოისმინა მომხსენებელი და მოლაპარაკენიც. თითქოს განზრახვა არ ჰქონდა საუბარში მონაწილეობის მიღებისა, მაგრამ საზოგადოების დაჟინებულ თხოვნას ანგარიში მაინც გაუწია და სიტყვა წარმოსთქვა. ილიას წამოდგომას დამსწრენი მქუხარე ტაშისცემით შეხვდნენ.

ვინც ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას გასცნობია, მას კარგად ეცოდინება, რა მოტრფიალე იყო გლეხებისა და რა დიდ ეროვნულ მნიშვნელობას აკუთვნებდა გლეხკაცობას ჩვენი ქვეყნის წარმატების საქმეში. ილიამ კარგად იცოდა: გლეხობა იყო ჩვენი ნაციონალური ტერიტორიის შემნახველი და დამცველი, აგრეთვე ენის, ზნეჩვეულების და მამა-პაპათა კულტურის. ერთს თავის ცნობილ ნაწერში ამბობდა: ჩვენს ხალხს ცალ ხელში გუთანი ეჭირა, მეორეში ხმალიო და ამ ორი ბრძოლის იარაღით საუკუნოების განმავლობაში შეინარჩუნა მამულ-დედული, ენა, სარწმუნოება და მოიტანა დღევანდლამდის ეს ეროვნული საუნჯე, ეროვნული სახე. სხვა წოდებანი დროთა ისტორიულ მსვლელობის გამო ითქვიფებოდენ, ადვილად ჰკარგავდენ მამა-პაპეულს, გლეხი კი ძირ-მაგარი იყო. ის ისტორიული თქმულება ილიას პირით წარმოთქმული: „სოფელი ღონიერი, ქალაქი ღონიერი“-ო, მართალია, ჩვენი დროის „იდეურმა დარდიმანდებმა“ სასაცილოდ გაჰხადეს და შეაბრუნეს: „ქალაქი ღონიერი, სოფელი ღონიერი“-ო, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს, ვის დარჩება საბოლოო გამარჯვება. და ამ ძირითად შეხედულების ადამიანი ილიაც მოხსენების წინააღმდეგ საზოგადოების წინ ჰშლიდა თავის ბრძნულ შეხედულებას მოხსენების მთავარ საგანზე. „დიახ!“, სთქვა მან, „კრედიტი და თანხა ესაჭიროება ჩვენს გლეხობას, მაგრამ ეს ისეთ დაწესებულების ხელში უნდა იყოს, რომელიც სინამდვილით გაიგებს, რა დროს რა სჭირია გლეხის მეურნეობას და დროზე მიაწვდის საშუალებას“. მან მიუთითა გერმანიაში ერთს დროს დაარსებულ შულცე - დელიჩის მიერ საგლეხო საკრედიტო ბანკებზე, რომელთაც გერმანიის საგლეხო მეურნეობას უდიდესი სამსახური და სარგებლობა გაუწიეს; „კრედიტი ორპირი მახვილია“, ხშირად უთქვამს ილიას და ახლაც იმას იმეორებდა; „ბანკი თვით გლეხების ხელში უნდა იყოს, მას მის-მიერ არჩეული ხალხი უნდა განაგებდეს, რომელმაც უკეთ იცის ბანკიდან გატანილი თანხა რას უნდა მოხმარდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს თანხა გლეხმა დახარჯა ქორწილ-დღეობებში, ნათლობა - ქელეხებში, მაშინ ეს დამხმარე საშუალება კი არ იქნება, არამედ მახვილი მის-

თვის“. ილია სწორედ ასეთი ტიპის ბანკებზე უთითებდა მართლაც მსოფლიო ომის წინა დროს დაარსებულმა ასეთი ტიპის ბანკებმა, თვით გლეხობის-მიერ წარმოებულმა, დიდი სამსახური გაუწია გლეხობას. თითქმის ყოველ დიდ სოფელში დაარსებული იყო ასეთი ბანკები და დღითი - დღე თავიანთ მუშაობას აფართოებდენ.

მთავრობის-მიერ განზრახული ბანკები, რომელსაც იცავდა ლევან ჯანდიერი და იწონებდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი იმ დღეს, ჩვენს გლეხობას არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, პირიქით, დაავალიანებდა მას, როგორც ძველი ვორონცოვის-მიერ დაარსებულმა „პრიკაზებმა“ დაავალიანეს და გაალატაკეს ჩვენი თავად-აზნაურობა. „წვრილი საგლეხო კრედიტის საქმე ცოცხალი საქმეა — ამას თვით გლეხები უნდა განაგებდეს და არა მოხელენი და ხალხის გარეშე მდგომნი პირნი. მოხელეების ზანტი და საჭიროების მიუხვედრელი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ მავნებელი შეიქნება და დააქცევს გლეხკაცობას“-ო. ილიამ ეს ჩვენ მიერ მოკლედ მოყვანილი აზრები, მთელი მეცნიერების მასალებით დაასაბუთა და დაიპყრო ამით მსმენელთა ყურადღება. თავის საფუძვლიანი მოსაზრებანი ილიამ დააგვირგვინა ხალხში გაგონილი ამბით: როცა ტფილისიდან ბაქოსაკენ რკინისგზის გაყვანა უნდოდათ, ჩვენში მოვიდენ განათლებული ქვეყნების ვაჭარ-სოვდაგრები, დიდი ფულის პატრონები, დაიბარეს ჩვენი ვაჭარ-სოვდაგრებიცო და უთხრეს: „ჩვენ ფიქრადა გვაქვს, ტფილისიდან ბაქომდის რკინისგზა გავიყვანოთ, — მოდით თქვენც დაგვეხმარენით, თქვენი წვლილი შემოიტანეთ ამ საქმის განსახორციელებლად“-ო. ჩვენებმა ჰკითხეს: „რა არის ეს რკინისგზა“-ო. იმათ უპასუხეს: „ეს ის არის, რომ დღეს რომ ბაქომდინ ერთ კვირას უნდებით, რკინისგზით დღე-ღამეში ჩახვალთ“-ო. ჩვენებმა უპასუხეს: „ეს ძალიან კარგი საქმე ყოფილა“, მხოლოდ სთხოვეს ევროპიელებს: „მობრძანდით და ერთ რასმე გაჩვენებთ“-ო. გაუძღვენ ჩვენებური ვაჭარ-სოვდაგრები და მიიყვანეს ერთ დიდ შენობასთან და მოახსენეს მათ: „აი ამ შენობის პირველ სართულში მოთავსებულია საოლქო სასამართლო და მეორე სართულში სასამართლო პალატა; თუ ღმერთი გრწამთ, ეგ თქვენი რაღაცა რკინისგზა ყოფილა, პირველ სართულიდან მეორე სართულამდის გაბით, რომ ქაღალდები გზაში მთელი წელიწადი არა რჩებოდეს“-ო.

როცა ეს ამბავი გაათავა ილიამ, საზოგადოებას მიმართა და უთხრა: „აი, როგორი მოხელეების ხელში უნდა ჩაგდოს ცოცხალი საქმე ბატონ ლევან ჯანდიერმა“, და ამით გაათავა თავისი სიტყვა. ლევანისა და მთავრობის პროექტიც ამ საზოგადოებას არ გასცილებია.

(გაგრძელება მოჰყვება)

**ვლ. ახმეტელი**

## რუსეთი და საქართველო

(წერილი მეორე)

### კულტურა, მწერლობა, სამართალი

საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ შეჰქმნა დიდი სულიერი სიმდიდრე. მთელი რიგი მეცნიერთა, ღვთის მეტყველნი, ფილოსოფოსნი, მჭერმეტყველნი, პოეტები და მთარგმნელნი, თავიანთ ნაშრომებით ამდიდრებენ მონასტრებს და სამკითხველოებს.

როგორც ზემოთა გვქონდა ნათქვამი, ქართველი მიიღო ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში და როგორც ყოველთვის და ყოველგან სასულიერო მწერლობამ დაიპყრო შეგნება ქართველი ერისა და ხალხის შემოქმედებითი ნიჭი ამ პროცესს მოჰყვა. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველები მწიგნობრობაში დროზე აღწევენ თავს ეკლესიის მძლავრ გავლენას და საერო მწერლობა იკავებს თანაბარ ადგილს სასულიეროსთან, რის შემდეგაც როგორც სასულიერო მწერლებს, ისე საეროს შექონდათ თავისი ღვაწლი ერის სულიერი სიმდიდრის საუნჯეში.

როგორც კულტურა, ისე მწერლობაც განიცდიდა ერთგვარ გავლენას სხვა კულტურულ ერებისას, მაგრამ თქმა იმისი, რომ ქართველი ერი განიცდიდა მხოლოდ ბერძნულ-ქრისტიანულს გავლენას, შეცდომა იქნებოდა, რადგან ქართულს განათლებას ამჩნევია კვალი მუსულმანურ მწერლობასთან ურთიერთობისა — სპარსულ - არაბულთან. ორი სხვა და სხვა კულტურის ურთიერთობისა და გავლენის მიუხედავად, ერთი მხრივ ბიზანტია, და მეორე მხრივ სპარსეთ-არაბეთი, ქართული მწერლობა მაინც დარჩა სრულიად თავისებური, თვითარსი, მკაცრად და მწყობრად ჩამოყალიბებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მინანქარი მე 7 — 9 საუკ. ნახელოვნები. აი რას ამბობს ამაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი კონდაკოვი: — თუ რამდენად უხვად მოიპოვებოდა მინანქარიანი ნახელოვნები ქრისტიანულ საქართველოში, ამას მოწმობს გელათის შესამოსელთა საცავი, სადაც ბევრი ისეთი ნივთებიც კი არის, რომელთ მსგავსი ევროპის ბევრს დიდსა და ძველ მუზეუმებშიდაც ძნელად საპოვნელია. საქართველოს ერთად-ერთ მეტოქედ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს მხოლოდ წმ. მარკის ტაძრის შესამოსელთა საცავი ვენეციაში, უფრო ბედნიერი ტაძრისა, რადგან მისი სიმდიდრე, აღმოსავლეთში ნაყიდი, უფრო მეტწილად კი ნაცარცვი, შენახული და დაცულია, მაშინ როდესაც საქართველოში ცუდ პირობებში და ცუდათ შენახული სინესტისა და სიცივისაგან ფუჭდება და მეტ წილს კი, თითქო განსაახლებლად, გასაწმენდათ, იპარავენ და ითვისებენ. ცარცვა - გლეჯით განთქმულია გრაფი ლევაშოვი, ქუთაისში გუბერნატორად ნამყოფი. ყველა ეს მცარცველები გაცილებით უარესად ანადგურებენ საქართველოს ტაძარმონასტრებს, ვიდრე სპარსთა და თურქთა შემოსევანი. სპობენ განძეულობის უძვირფასესს და ძნელად საპოვნელს, მით უმეტეს, რომ თითქმის ყოველ ნივთს აქვს თარიღი და ნივთთან ერთად იკარგება ისტორიული დოკუმენტიო.

ქართულ მედალიონებში მე-9 — 11 საუკ. აკადემიკოსი კონდაკოვი ხედავს სრულიად თავისუფალს ექსპრესიას ტიპებში და ხასიათებში.

ქართველი ერისათვის მე- 11 — 13 საუკ. იყო ხანა მისი ეროვნული ნიჭის უმაღლესად განვითარებისა, მისი

კულტურის ბრწყინვალებისა. დავით აღმაშენებელის დროს დიდი ინტერესი იყო აღძრული სწავლა-განათლებისადმი ხალხში; ტფილისი იყო შუაგული, სადაც იყრიდენ თავს ყველა ქვეყნიდან განათლებულნი და სწავლულნი. სერიოზული შესწავლა სხვა ერთა კულტურისა და მათ შესახებ მეცნიერული გამოკვლევები დიდის გულ მოდგინებით სწარმოებდა მაშინდელ საქართველოში. ტფილისი იყო სალარო განათლებისა სულ მუდამ, ვიდრე 1801 წლამდე, როდესაც ეს ზვავი ქალაქი, ამაყი თავის კულტურული და მამაცი შვილებით, არ გარდაიქმნა ჩვეულებრივ საგუბერნიო ქალაქად. ძველთა - ძველი ქალაქი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ასულდგმულებდა მაღალი კულტურულ-ლიტერატორული მოღვაწეობა, რუსის მთავრობის მიერ, მიჩნეული შეიქმნა როგორც მოუმწიფარი და შეუფერი უნივერსიტეტისათვის.

ფილოსოფიური ნაწარმოებნი მე-10 საუკ., არა ნათარგმნი, არამედ საკუთარ ენაზეც ნაწერ-ნაშრომნი, ბლომად მოიპოვებოდენ საკუთარი ტერმინოლოგიით. როგორც ქართულ, ისე სხვა ერთა ისტორიული საბუთებიდან სჩანს რომ სიტყვაკაზმული მწერლობა საქართველოში მაშინ აყვავებული იყო, როდესაც ბევრს სხვა ქრისტიანულ ერთ არც კი ჰქონდათ არაფერი მსგავსი. ამის მიზეზი იყო ის, როგორც ზემოდ გვქონდა ნათქვამი, რომ ქართველებმა ადრე დააღწიეს თავი ეკლესიის და მისი მწერლობის გავლენას.

მე- 12 საუკ. თამარ მეფის დროს, ვიმეორებთ, ქართველებმა მიაღწიეს განსაკუთრებულ შემძლებლობას. როგორც შინ, ისე გარედ. მისთვის არ იყო საშიშარი არც ძლიერი სპარსეთი, არც უძლიერესი თურქეთი და ქვეყანას, მფარველობდა რა ძლიერი სამხედრო, სახელმწიფოებრივი ძალა, ემატებოდენ დღითი-დღე მაღალი ნიჭის და განათლების პირნი, რომელნიც თავიანთი შრომითა და ღვაწლით ამდიდრებდენ ერის სულიერ საუნჯეს. შოთა რუსთაველის ხელთუქმნელი „ვეფხის ტყაოსანი" ხომ თამარის დროს ეკუთვნის. ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ ხუროთმოძღვრებას. აკადემიკოსი კონდაკოვი ამბობს, ქართული ხუროთმოძღვრება განსხვავდება მტკიცე და და შესანიშნავ ტექნიკით, და კატეგორიულად აცხადებს, რომ მეტი უნაკლულობა და ხელოვნების სისრულე ბიზანტიაშიც იშვიათად ნახავთო.

სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების ძლევამოსილი სვლა ქართველი ერისა მსწრაფლ შეაჩერა 1221წ. მონღოლების შემოსევამ. და ამ წლიდან ქართველ ერს არ განუცდია წუთი მოსვენებული ცხოვრებისა, რწყავდა რა მშობლიურ მიწას ცრემლითა და სისხლითა. გაშმაგებით ესხმოდენ საქართველოს მუსულმანური ძალები და მთელი ღონით ლამობდენ მის აღგვას დედამიწის პირიდან და მკვიდრთა გამუსულმანებას. საკვირველია, რომ ვერ მიაღწიეს ამას, მით უფრო, რომ საქართველო შინაურ არევ-დარევითაც დღითი-დღე უძლურდებოდა. მაგრამ დიდმა ეროვნულმა შეგნებამ და სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულმა, ძლიერმა მკლავმა გიორგი ბრწყინვალისამ სძლია თათრები და განწმინდა ქვეყანა.

უცხო მტრისაგან განთავისუფლებული ქართველები კვლავ შეუდგენ აღდგენასა და თავისი კულტურის გამძლავრებას. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ყოველ დარგში მწერლობისა მე- 17 საუკ. სჩანს დიდი გაღრმავება ეროვნული თვითცნობიერებისა; თითქოსო გრძნობდენო, ამბობს აკადამიკოსი მარრი, რომ ახლოვდება დასასრული საქართველოს სამეფოსი და მისი მეფენი და თავადნი იჩქაროდენ ეანდერძათ მომავალ თაობებისათვის : მისაწვდომი და ნათელი, პატრიოტული აღმაფრენის აზრები; ესწრაფოდენ გადაეცათ მემკვიდრეთათვის საუკუნეთა განმავლობაში ნალოლიავები აზრები და შთაეგონებინათ მაღალი მოვალეობა ქართული კულტურის სადარაჯოზე მედგრად დგომისა.

ამ კულტურულმა ხალხმა შეჰქმნა ბრწყინვალე სამსჯავრო, ამაღლებული ადამიანის გონებისა და სულისათვის. თვალსაჩინო სრული შეგუება იურიდიული ნორმებისა, როგორც სასულიერო, ისა საეროისა, ხალხის ზნე-ჩვეულებასთან და ტრადიციებთან. ამით აყვანილ იქმნა იგი ჯეროვან სიმაღლემდე. განა ეს არ არის თავდები იმისა, რომ სამსჯავრო ძნელად თუ დაუშვებდა შეცდომას ნებსით თუ უნებლიეთს. „ჩვენ ვცემთ ამ წიგნს იმისათვის, რომ ვერავინ გადახაროს სასწორი სამართლისა, ან ნათესაობით, ან ანგარებით და ან რაიმე სხვა მიკერძოებით"-ო, ამბობს თავის წინასიტყვაობაში, თავის კანონის წიგნში, მაშინ ჯერ კიდევ მეფის წული, მეფე ვახტანგ მეექვსის კანონების გამოქვეყნება 1703 წ. არის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ქართველი ერის კულტუროსნობისა. ვერც ერთი კანონმდებლობა დასავლეთ ევროპის იმ დროისა ვერ შეედრება მას. პირველში ჩვენ ვხედავთ გულისშემზარავ სასჯელებსა და წამებებს, მეფე ვახტანგის კანონებში კი ხაზგასმით მოსჩანს ლმობიერება ადამიანთა სისუსტისადმი. გრაფი ბლუდოვი ვახტანგის კანონებზე ამბობს: მთავარი საფუძველნი მეფე ვახტანგის კანონებისა ემყარებიან ქრისტიანულ ზნეობით სწავლაზე და სამართლიანობის ბუნებრივ გრძნობებზე, ამაღლებულთ უწმინდეს გრძნობებამდე კაცდამი დიდი პატივისცემისა და მისი სისუსტისადმი მოწყალებით მიხედვისა. მაგალითად, თუ ადამიანი დავალიანდა და უბედურ გარეოებათა გამო, და არა იმიტომ რომ მას არა სრუს ვალის გადახდა, ვერ იხდის მას, სამსჯავრო ხელს უწყობს შეძლებისადაგვარად შეუმსუბუქოს ვალის გადახდა ყოველგვარ შეღავათების საშუალებით. — ქვეყანა, სადაც კანონები და სამსჯავრო შესაფერ სიმაღლეზე სდგას, იქ ძალადობასა და უსამართლო დევნა-ტანჯვას არა აქვს ადგილი და იგი ბედნიერია. ასეთი იყო საქართველო თავის კანონთა მფარველობის ქვეშ.

დ. ჰიაბრიშვილი

## წერილი იტალიიდან

### შამილი და იტალია

ამ სტრიქონების ავტორს უკვე ჰქონდა შემთხვევა შეჰხებოდა შამილის პიროვნებას ფრანგული ლიტერატურის მიხედვით. ეს კავკასიელი „დუჩე" არ არის უცნობი არც იტალიურ მწერლობაში. **პიეტრო ძაკკონე**, ავტორი მრავალ რომანთა ფრანგულ და იტალიურ ენებზე (გარდაიცვალა პარიზში თითქმის ას-წლოვანი 1895 წ.) მას მიუძღვნის ერთ ისტორიულ რომანს „შამილ ო ლიბერატორე დელ კაუკაზო" (შამილი ანუ განმათავისუფლებე-

ლი კავკასიისა), მილანო, 1857 წ. გვ. 164.). ავტორი აღნიშნავს სოციალურ, რელიგიურ მდგომარეობას კავკასიის ერთა ოციოდე წლის მანძილზე (1831 — 1853), აღწერს კავკასიის ბუნებას და თაყვანს სცემს მთიელთა თავგანწირვას უთანასწორო ომში. იგი ადარებს ქართველ - ჩერქეზთა სილამაზეს, აღნიშნავს ასეთი რეპუტაციის უნივერსალობას და დიდი აღფრთოვანებით ეხება შამილის პირადობას: გულადობა, გადაჭრილობა, გამჭრიახობა, სიამაყე და სხ. ამ წიგნის მე-8 თავი გვიხატავს მას, როგორც კანონმდებელს. არაჩვეულებრივი ენერგის პატრონმა შამილმა არ იცოდა მოსვენება და მის მცნებათ-აღნუსხვას ედება საფუძვლად დევიზი: — „ყველაფერი ბრძოლისათვის“! ჯილდო და წოდებათა დაკანონებით მან ასწია მაღლა ეროვნული ფსიქიკა და ბოლო მოუღო დაჩაგვრას. თანასწორობა კანონის წინაშე იყო ამავე დროს ერთ ერთი მის მიღწევათაგანი. 1842 წელი აღნიშნულია პ. ძაკონეს მიერ ხაზგასმით (გენ. გრაბბეს დამარცხება დარგოში). ორი ევროპიელი (ფრანგი და ინგლისელი) ინახულებს მას, შამილს, მთებში და მიუძღვნის სალამს და სურვილებს საბოლოო გამარჯვებისათვის. ეს წიგნი დღეს ფრიად იშვიათია; დაიწერა ვედენოს კატასტროფამდე — 1859წ.

ჩრდილოეთის დათვმა აალალა ფრთები კავკასიელ არწივს. ასეთივე სიმპატიით იხსენიებს შამილს იტალიელი მოგზაური, ცნობილი თავისი დაკვირვებებით, ჯოვანი დე-რიზეისი (კაუკაზო ედ აზია ჩენტრალე; ლანჩიანო, 1907, გვ. 214 ც 218: შამილი, ტფილისი, ქართველობა).

დაბადებით რევოლუციონერი და ბუნებით გმირი-ბელადი (ჯიოვ. დე-რიზეისის თქმით) — შამილი ძლეულ იქმნა ხანგრძლივობით, მაგრამ მისი მისწრაფება რჩება დღემდე. ამ საკითხის გარშემო იხილეთ:

**Shamil par Ch. Reboul, in ;Rev. des 2 Mondes», 1853, t. III. b) Shamil, par René Taillandier, ib t.,. VI, p. 409 — 448 et H. Gilles ç «Lettres sur le Caucase«, Ed. Gide, 1859, p. 114 — 130ê ;Shamyl».**

## სხვა და სხვა

— 4 აპრილს ეწვიენ ნეაპოლს აკილლე სტარაჩე და ჯიუზეპე ბოტტაი. დღეს დიდ ტრადიციათაა ქმნილი იტალიაში აღდგომის კვირას სალიტერატურო-სამუსიკო შეჯიბრის გამართვა უნივერსიტეტთა შორის, რასაც ეწოდება „ლიტორიელთა კონკურსი“. გამარჯვებულთ ეძლევათ ჯილდოთ ოქროს ინიციალი — „მ“. ან მატერიალური დახმარება 1-დან 3 ათას ლირამდე. ამავე დროს იმართება გამოფენა (სკულპტურა, მხატვრობა, დასურათებული გამოცემები). ამ დღეობას დაესწრო ბევრი უცხოელი. ყველა კრებას, ლექციებს ახასიათებს ერთიანობა, შეფიცულობა, ერთაზროვნება, რაშიც მდგომარეობს იტალიის სიძლიერე..

— უკვე იბეჭდება პომპეიში და გამოიცემა „რ. ინსტიტუტო დი ნაპოლი“-სს თაოსნობით „ბერნარდო ჩიოფე ან ქორჯი (1672 — 1700), მას თან ახლავს ჩემს მიერ შედგენილი — „ბიბლიოგრაფია იტალიანა დელლა ჯეორჯია“, პირველად დაგროვილი ანბანზე (100-მდე შრომა).

— აღმოსავლეთის ინსტიტუტი ინახულა პიემონტის თავადმა, უმბერტო პირველმა (ტახტის მემკვიდრე). „კავკასიის კაბინეტმა“ გადასცა მას ახლანდელი მეფის მიერ ბათუმში, 40 წლის წინად დარგული ხის ფოტოგრაფია და ერთი ძვირფასი ქართული ფული (1817. „ჩყზკ“.). მემკვიდრე ფრიად დაინტერესდა გამოფენილი სურათებით (მწერლები, რუსთაველის ეპოქა, კარტოგრაფია და სხ.)

— ნაპოლის აღმოსავლეთ ინსტიტუტში პროფ. პადრე ჯუეზეპე ლედიტმა წაიკითხა მოხსენება „კომუნიზმის სამოთხის“ შესახებ. ლექტორი შეეხო კავკასიის ქვეყნებს და მათ ისტორიას.

**შ. ბერიძე**

ნაპოლი, აპრილი. XV

# სამხედრო საქმე

## მცირე შენიშვნა

მარტის „ბრძოლის ხმა“-ში მოთავსებულია ბ-ნ გრ. ურატაძის წერილი: „ორი სარდალი“, სადაც აღძრულია ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ზოგიერთი შენიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია: —

ბ-ნ გრ. ურატაძის მტკიცება, რომ „ვერც მთავარსარდალი ოდიშელიძე და ვერც ფრონტის სარდალი გედევანიშვილი, რომ დაგვცლოდა, ვერ აცდებოდენ, რასაკვირველია, საველე სასამართლოს“-ო, სრულიად ზედმეტია.

ღენ. ოდიშელიძე, მომხდარი მარცხის შემდეგ, დაინიშნა დიდ საპასუხიმგებლო თანამდებობაზე — სამხედრო მრჩეველისა მთავრობის თავჯდომარესთან;

ფრონტის სარდალი ღენ. გედევანიშვილი კი მთ.-სარდლის ღენ. კვინიტაძის მიერ თბილისს იქმნა მივლინებული დივიზიის მოსაწყობად და მისი სრული განთავსუფლება ამ მოვალეობსაგანაც ამავე მთ.-სარდალის ბრძანებით მოხდა. ამ დროს სამხედრო საველე სასამართლო მოქმედებდა, მაგრამ ღენ. ოდიშელიძისა და ღენ. გედევანიშვილის გასამართლების აზრი არავის მოსვლია.!

ბ-ნი გრ. ურატაძე სწერს: „ჩვენი ჯარების პოზიცია იყო სამ ადგილას — ტაბახმელა, სოღანლუღი და ფონიჭალის გასწრივ. სამივე ეს ნაწილები გმირულად იგერიებდენ შემოტევას. და, აი ამ გამარჯვებულ ჯარს 24 თებერვალს სალმოს მოსდის მთ.-სარდალის ბრძანება უკან დახევისა და თბილისის დატოვების შესახებ. ამას უნდა დაუმატოთ ის ცნობილი ფაქტი, რაც მთელმა საქართველომ იცის, რომ სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი ჯარი უკან იხევდა სარდლის ბრძანებით — დამარცხებულ წითელ არმიას თავისი მთავარი შტაბისაგან მოუვიდა ბრძანება

საქართველოს ყველა ფრონტებიდან უკან დახევის“-ო.

რწმუნება, რომ ჩვენი პოზიცია იყო ფოილოს გასწრივ, საკვირველია. მტერმა ბრძოლით ორხევ-ნავთლუღს მოაღწია და ფოილო 80 კილომეტრზე მტრის მხარეზე დარჩა. შემდეგ: —

საიდან არის აღებული ამბავი, რომ თითქო წითელმა სარდლობამ ბრძანება გასცა „საქართველოს ყველა ფრონტებიდან უკან დახევის“-ა

ამ დროისათვის მტერი თბილისს უახლოვდებოდა და მნიშვნელოვანი ხასიათის მისი დახევა კი შენიშნული არ ყოფილა. იყო მხოლოდ ცდა მტრის მოგერიებისათვის, — ამ მხრივ ზოგიერთი მიღწევაც, მაგრამ შეტევითი ბრძოლისათვის სათანადო ძალები და საშუალებანი ჩვენს სარდლობას არ მოეპოვებოდა: რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობანი მეტად აშკარად ხდიდენ მოწინააღმდეგის ძლიერებას.

როგორც ცნობილია, ორხევთან გამოჩენილი მტერი. კახეთზე იყო გადმოსული. ამ ცხენოსან ნაწილებმა მოუარეს ჩვენს მარცხენა ფრთას და სოფ. ოლგინსკაიას გადალახვით გამოემართენ: მამკოდ, გლდან და ავჭალისაკენ. სამხრეთით წითელმა ჯარებმა კოჯორს მოუარეს და უკვე დიღომის მინდორზე ეშვებოდენ. სცდებიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ მტერი თბილისისთვის რკალის შემორტყმას არ აპირებდა.

ბ-ნი გრ. ურატაძე პანიკიორობაშიც ბრალსა სდებს ორივე სარდალს. ეს მეტისმეტია: — განსვენებული ღენ. ოდიშელიძე იყო გამოჩენილი მხედარი რუსეთის ჯარში და მისი ასეთი დახასიათება — ბორჩალოში მომხდარი სამხედრო უბედურებისა გამო — ნაადრევია; ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი.

მეორე სარდალის, ღენ. გ. კვინიტაძის, მამაცობა და გმირული მოქმედებანი დიდი ომის დროს, უკვე სამხედრო ლიტერატურისა და ისტორიის ფურცლებზეა აღბეჭდილი; თვით საქართველოშიც გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით მის უდავო სამხედრო გამოცდილებასა დაუნარიანობაში; თუმცა, იმავე ღენერალის აზრით, არც ერთს, ჩვენი დამოუკიდებლობის დროს წარმოებულ ბრძოლებისათვის მზად არა ვყოფილვართ და ჩვენი გამარჯვებანი მტერთა სისუსტეს და შემთხვევებს უნდა მიეწეროსო.

ყველას გვაღელვებს თბილისის დატოვების საკითხი...

მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მდგომარეობა 18 — 24 თებერვლის დღეებში ჩვენი ჯარების ზურგში — თუნდაც იმავე თბილისისა და მისი მიდამოების სახით:

მტრის აეროპლანები მოურიდებლად აყრიდენ ყუმბარებს სატახტო ქალაქს; ჩვენი კი არც განძრეულან, საჭირო ზეთის უქონლობისა გამო; [ღენ. ოდიშელიძე, თავის მოგონებებში, ზეთის შეუძენლობის მიზეზად მთავრობას ასახელებს.].

ტაბახმელასთან ხელჩართული ბრძოლებია; ამ დროს კი ოქროსყანის, ბოტანიკური ბაღის და კოჯორის გზის მიმართულებით სეირისათვის გამოფენილი იყო ჩვენი ქვეყნისა და მთავრობისადმი მტრულად განწყობილნი: სომეხნი, თათარნი, რუსნი და მნიშვნელოვანი რიცხვი კომუნისტურად მოაზროვნე ქართველებისაც, დიდი სიხარულითა და აღტაცებით რომ მოელოდენ ჩვენი ჯარების დამარცხებას;

ბორჩალოს მაზრაში განგებლობდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური მთავრობა“, რომლის განკარგულებანი ვრცელდებოდენ წითელი ჯარების მიერ დაჭერილ სხვა ადგილებზეც; ამ მთავრობას სათავეში ედგა ფ. მახარაძე; მაგრამ ეს ცოტაა; ამავე „მთავრობაში“ შედიოდა: — სომეხ მოსახლეობის წარმომადგენლის სახით — საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, დაშნაკცუტუნის პარტიის ბელადი და ახალციხის ქალაქის თავი, — ზორი ზორიანცი; მაჰმადიანობა კი იქ წარმოდგენილი იყო ცნობილი ომარ - ფაიკით, რომელსაც ჰქონდა უუდიდესი გავლენა არტაან — ფოცხოვ — ყარაიაზ — ბორჩალო — ახალციხეში.

1920 წ. 7მაისის დადებული ხელშეკრულების წყალობით ლეგალიზაცია-ქმნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის „მოღვაწეობას“ იმ დროისათვის მტრის სასურველი ნაყოფიც მოეტანა და ეს აშკარად სჩანდა თვით ზოგიერთ გვარდიის ნაწილებშიაც.

მახარაძე — ზორიანც — ომარ-ფაიკის მთავრობა ებრძოდა ჟორდანიას მთავრობას! ასე წარმოედგინა, საუბედუროდ, ბევრ ქართველსაც ეს ბრძოლა. ჩვენი მთავრობით უკმაყოფილონი, ნუ დავმალავთ, ბევრი იყო იმ შავბნელ დროს.

თბილისში სამხედრო საველე სასამართლო ასამართლებდა: — გვარდიელთ, მოხელეთ, კერძო პირთ... ზოგიც მცხეთისაკენ გარბოდა, რათა აეცდინა მოსალოდნელი გაწვევა ბრძოლის ველზე! საჭირო გახდა ზომების მიღება, რომ ნებადაურთველად მამაკაცებს თბილისი არ დაეტოვებინათ...

განსაკუთრებული საქმიანობა ოსმალეთის წარმომადგენელისა?

აკი, მისი მეგობრობა არტაან — ართვინის მოთხოვნაში გამოიხატა; და ოსმალეთმაც ეს ადგილები დაიკავა! ეს დიპლომატი ამითაც არ დაკმაყოფილებულა! ის თბილისიდან ყარსს აწვდიდა დაწვრილებით ცნობებს დაგროვილ, გადაჯგუფებულ თუ მოწინავე ხაზებზე წარგზავნილ ჩვენი სამხედრო ძალების შესახებ! ყარსი კი წითელ სარდლობას და „საქართველოს სოციალისტურ მთავრობას“ დაუყონებლივ საქმის კურსში აყენებდა. არ რჩებოდა არც ერთი სამხედრო თუ სხვა საიდუმლობა რომელიც სულ რამოდენიმე საათში მტრისათვის აშკარა არ გამხდარიყოს. ამ აუტანელ ვითარებაში მთავრობის მუშაობაც მეტად სუსტობდა; ის დამბლა დაცემული იყო; ნიადაგი მტრის სასარგებლოთ კი სავსებით გამზადებული!

იყო ვაჟკაცური თავგანწირვანი, მამაცური, რაინდული მოქმედებანი ცალკე მხედრებისა თუ ზოგიერთ სამხედრო ერთეულებისა, მაგრამ საერთო სულიერი ვითარება მცხოვრებთა, ამასთან დაკავშირებით თვით ჯარისაც, ფრიად ცუდი: ზურგი ჯარისა აუტანელი, უმსგავსო და არა დასანდობი. ასეთ პირობებში „საქართველოს ყველა ფრონტებიდან უკან დახევის“ ბრძანება წარმოუდგენელია, დაუჯერებელი, და რამდენადაც ვიცით, ასეთი განკარგულება წითელ სარდლობას არც გაუცია.

ბ-ნ გ. ურატაძეს წერილში ნახსენებია ქართული სამხედრო ნაწილების შედგენის ცდანი ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმის და „ოზაკომის“ დროს. სამწუხაროდ, იმ დროს ქართული ჯარი არ მოეწყო; ამიერკავკასიის მთავრობამ კი, რომელსაც ფაქტიურად ქართველები ხელმძღვანელობდენ, ჩაიდინა დიდი შეცდომა და დანაშაულიც, დაემყარა რა მთავრობაში შემავალ აზერბეიჯა-

ნელთა წარმომადგენლების სურვილს და მიანდო რა პ. კაჯარს მერვე მაჰმადიანთა პოლკის შედგენა და მისი მოთავსება ქალაქ ახალციხეში.

მე, იმ დროს მთავრობის საგანგებო სამხედრო რწმუნებულმა, პოლკ. კაჯარი ახალციხეში არ შევუშვი, რადგან ვიცოდი მისი საიდუმლო მიზნები და დანიშნულება მისი პოლკისა; რასაკვირველია, მთავრობის წევრებიც გავაფრთხილე, მაგრამ მათ თავისი არ დაიშალეს. ახალციხიდან განდევნილი პოლკ. კაჯარი და მისი ამალა დიდი პატივით თბილისში იქმნა მიწვეული; აქ მან მიიღო პოლკისათვის საჭირო იარაღი, ტანსაცმელი და აწყურ — სვირის მიმართულებით, აბასთუმანში გადავიდა; თავი აქ გარნიზონის უფროსად გამოაცხადა და ქართველ ოფიცერთა რაზმს, რომელსაც აბასთუმანის დაცვა ჰქონდა მინდობილი და რომლის მეთაური პოლკ. გ. კობეშავიძე იყო, მორჩილება და აბასთუმანის დაცლა მოსთხოვა. ჩემს საჩივარზე თბილისმა მიპასუხა ბრძანებით — დაუყონებლივ ჩვენი რაზმი ახალციხეში გამეწვია და მერვე მაჰმადიანთა პოლკის აბასთუმანში დაბანაკება კანონიერად მეცნო. პოლკ. კაჯარმა სულ მოკლე ხანში შეადგინა კარგი სამხედრო ერთეული; ოფიცრობაც მას საუკეთესო აღმოაჩნდა, სულ მაჰმადიანები, ადრე რუსულ ჯარში ნამსახურნი და დიდი ომის მონაწილენი.

მალე მცირე ნაწილი ამ პოლკისა ჯავახეთში გადავიდა და იქ ოსმალ ასკერებთან ერთად ქართულ სოფლებს შეესია. ამ ქრისტიანული სოფლების დაცვისათვის ჩემ მიერ ახალქალაქის მაზრაში მივლინებული პოლკ. გიორგი კობეშავიძე, ადგილობრივი ქართული გლეხობის რაზმით, შეეცადა ეხსნა შევიწროებული ქართველი მოსახლეობა; ნაწილობრივ ეს დავალება მან კიდეც შეასრულა, მაგრამ, სამწუხაროდ, სოფ. საროს დაცვის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. საროელებმა დაჭრილი, ღამით, ასკერებისა და კაჯარის ჯარისკაცებით შემორტყმულ სოფლიდან გამოაპარეს, მაგრამ ბაკურიანის ტყეში მხოლოდ მისი უსულო გვამი-ღა მოიტანეს და ერთი ნაძვის ქვეშ დიდი გლოვით დაასაფლავეს.

სხვა ნაწილები იმავე კაჯარის პოლკისა, მცირერიცხოვანი რაზმების სახით, სხვა და სხვა დროს, ქვაბლიან — დანისპარეულ — ხულოს გზით ართვინს გადავიდენ და მდინარე ჩოლოხთან ბრძოლაში ოსმალ ასკერებთან ერთად ჩვენი ჯარების დამარცხებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ამ ბრძოლის შედეგი საქართველოსათვის კარგად ცნობილია.

აი ნიმუში „მოწოდებათა“ „ქართული ჯარების შედგენისათვის“. ქართული ჯარების მაგივრად ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენ მოღვაწეთა დასტურითა და დახმარებით ოსმალთა, მტრის რაზმები სდგებოდენ.!

ასეთი მოვლენა მეტად დამაღონებელია: ჩვენს ქვეყანაში არა ქართული ნაწილების შედგენა და მათი ისეთ ადგილებში მოთავსება, როგორიცაა ახალციხე — აბასთუმანი, ბოროტებად უნდა ჩათვლილიყო.

მაგალითები არა-სასურველი მოქმედებისა უამრავია. დიდია დაუდევრობა, გამოუცდელობა, თუ უუნარობა იმ ქართველ მოღვაწეთა, რომელნიც მოწოდებულნი შეიქმნენ ერის მმართველად და პატრონად ისტორიის მიერ.

ზ. მაღლაკელიძე

## პარიზის ზარბაზანი

ერთი თვის წინად პარიზს ესტუმრა პროფესორი პიკარი, პირველი მეცნიერთაგანი, რომელმაც სტრატოსფეროს კვლევას ფართო ხასიათი მისცა და მრავალ სახელმწიფოთა შორის ერთგვარი შეჯიბრებაც გამოიწვია სტრატოსფეროს კვლევა-ძიებაში.

როგორც ვიცით, პრ. პიკარის შემდეგ საბჭოთა მფრინავებმა ბევრად გადააჭარბეს პრ. პიკარის მიერ მიღწეულ სიმაღლეს (19 კილ.) ; საბჭოთა მფრინავებს კი ამერიკელი მკვლევარნი სამი კილომეტრით გადასც[illegible]

სტრატოსფეროს შესწავლის ცდები ახალი ამბავი არ[illegible] ჯერ კიდევ დიდი ომის დროს წარმოადგენდა იგი გერმანული გენერალური შტაბის კვლევა-ძიების საგანს, რომელმაც გამოიყენა ის წმინდა სამხედრო მიზნებისათვის, სახელდობრ, არტილერიის შორ-სროლის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი მიზანია — გარეშე სხვა მრავალი, მეცნიერებისათვის საინტერესო კითხვებისა — ვამცნოთ ჩვენს მკითხველს, თუ როგორ გამოიყენა გერმანულმა არტილერიამ სტრატოსფერო დიდი ომის დროს.

1918 წ. გერმანელთა საბრძოლო ხაზი პარიზიდან 100 — 130 კილომეტრით იყო დაშორებული. იმ ხანებში მტრის ავიაცია ხშირად ესხმოდა პარიზს და უშენდა ყუმბარებს. ასეთ თავდასხმებს პარიზელები სულ მალე შეეჩვივნენ და ხშირად უყურადღებოდაც სტოვებდენ მათ. მაგრამ გაკვირვებასა და განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც 1918 წ. მარტის მეორე ნახევარში პარიზს და მის მიდამოებს დაეცა 77 ნამდვილი ზარბაზნის ყუმბარა. მრავალი აზრი და სხვადასხვა ვერსია გავრცელდა და იყო წუთი, როდესაც პარიზელები უნდობლად ეპყრობოდენ მთავრობის ოფიციალურ ცნობებს გერმანელთა სიახლოვის შესახებ. როდესაც საზოგადოება დარწმუნდა, რომ გერმანელთა ხაზი მართლაც 120 — 130 კილ. მანძილზეა პარიზიდან, გავრცელდა ათასნაირი ხმა; ერთნი ამტკიცებდენ, რომ ეს თვალმიუწვდომელ სიმაღლეზე მფრინავი ავიონები ისვრიანო, მეორენი ამბობდენ, რომ ეს სპეციალური ყუმბარაა, რომელიც განსაზღვრული მანძილის გავლის შემდეგ სკდება და სტყორცნის სხვა ყუმბარას (რაღაც თანამედროვე რაკეტის მსგავსი); მესამენი დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანელები მიწის-ქვეშ გაყვანილი ხვრელის საშუალებით მოუახლოვდენ პარიზს და ჩვეულებრივი არტილერიიდან უშენენ ქალაქსო ბევრი კვლევა-ძიების, ყუმბარების ნატეხთა შესწავლის შემდეგ, ფრანგული სამხდრო წრეები დარწმუნდენ, რომ გერმანელების განკარგულებაშია სპეციალური კონსტრუქციის ზარბაზანი ანუ თუ შეიძლება ითქვას, „ზე-ზარბაზანი“, რომლის სროლა აღწევს წარმოუდგენელ სიშორეს 110 — 120 კილომეტრს; ხოლო მცხოვრებთა ფანტასტიურ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო მას შემდეგ, რაც ფრანგმა მფრინავებმა მართლაც აღმოაჩინეს ამ ზარბაზანთა ნამდვილი პოზიცია კრეპი-ანლაონუას მიდამოებში (110 — 120 კილომეტრი).

თვით გერმანეთშიც კი, რამოდენიმე სპეციალისტ ინჟინერთა და არტილერისტთა გარდა ეგ „ზე-ზარბაზანი“ თვალად არავის უნახავს, ვინაიდან ომის დამთავრებისას მაშინვე, გერმანელებმა ის საჩქაროდ გადაადნეს და ამით საიდუმლო გაუხსნელი დარჩა. ამიტომაც ამ „ზე-ზ[illegible]

ზანის ტექნიკური თვისებების აღწერის დროს, ჩვენ ვსარგებლობთ იმ მცირე ცნობებით, რომელიც გერმანულ და ფრანგულ სამხედრო ლიტერატურაში მოიპოვება, უმთავრესად კი წმინდა თეორეტიული ანგარიშებით და ჰიპოტეზებით.

გასაოცარი სიშორე, რომელსაც „ზე-ზარბაზანის“ ყუმბარა აღწევდა (120 კილომ.), დამოკიდებული იყო სამი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით:

1) პირველ-დაწყებითი სიჩქარე ყუმბარისა,

2) ყუმბარის მიერ განვლილი გზა (ტრაექტორია) უმთავრესად სტრატოსფეროში (ჰაერის შემდეგი ფენი) და

3) განსაკუთრებული ფორმა თვით ყუმბარისა.

**პირველ-დაწყებითი** სიჩქარე ყუმბარისა შეფასებულია სპეციალისტთა მიერ 1500 — 1600 მეტრი წამში, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი 75 მმ. საველე ზარბაზნის ყუმბარის სიჩქარე უდრიდა 600 მეტრს. ასეთი სიჩქარის შემქნელი, გამსროლი მასალის რაოდენობა უდრიდა 180 — 300 კლგ. დენთს, დახლოებით. გასროლის დროს გამოწვეული წნევა უდრიდა 4ათას ატმოსფეროს. გზა (ტრაექტორია), რომელსაც აღწერდა ყუმბარა ლულიდან გამოვარდნის შემდეგ, წარმოდგენილია დაახლოებით და დამყარებულია თეორიულ ანგარიშებზე. კუთხედი შექმნილი ლულის დაყენებიდან უთუოდ იყო არა ნაკლებ 50°. მაშასადამე, ტრაექტორიის უმაღლესი წერტილი აღწევდა 40 კილმ. სიმაღლეს (ამერიკელი სპეციალისტების აზრით — 30 კლმ.-ს). ამ სიმაღლეზე, როგორც ვიცით, ჰაერის სისქე არ აღემატება 0, 01 დედამიწის ახლო ჰაერის სისქეს. ამ სივრცეში ყუმბარას არ ხვდებოდა დიდი წინააღმდეგობა ჰაერისა. როგორც ვხედავთ, თავისი გზის უმეტეს ნაწილს აღნიშნული ყუმბარა სტრატოსფეროში აკეთებდა. გარდა ამისა, თვით ყუმბარის კონსტრუქცია იყო ისეთი, რომ ,რაც შეიძლება, ჰაერის ნაკლები წინააღმდეგობა განეცადა. ამ მიზნით ყუმბარას თავზე ჰქონდა ჩამოცმული სპეციალური თუნუქის ვიწრო-წვეტიანი ბოლო. ყუმბარა იწონიდა 120 კლგ. და შიგ იყო 7 — 8 კლგ. ამფეთქებელი მასალა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ „ზე-ზარბაზანს“ არაფერი საერთო არ აქვს იმ „მსხვილ ბერტას“-თან, რომელსაც შეცდომით, ხშირად დღესაც, ასახელებენ პარიზის „ბომბარდმან“-თან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ ზარბაზანს გერმანელები უწოდებდენ „პარიზის ზარბაზანს“ — პარიზერ კანონე —, ხოლო „მსხვილი ბერტა“ კი იყო ჩვეულებრივი მძიმე ზარბაზანი, რომლის ყალიბი უდრიდა 21 — 23 სნტ. პარიზულ ზარბაზანს ლულის სიგრძეც სათანადოთ გრძელი უნდა ჰქონოდა, როგორც ეს მიღებულია საზღვაო არტილერიაში. მას სთვლიან 30 — 40 მეტრს. ამ-სიგრძე ლულა რომ თავისივე საკუთარი სიმძიმისაგან არ გახრილიყო, რაც სროლის დროს კატასტროფას გამოიწვევდა, სპეციალური, ეგრედწოდებული, დაკიდების სისტემით იყო დამჭიდრებული. თვით სროლა ხდებოდა ელექტრონის მოწყობილობათა საშუალებით, **რომლის დროსაც** სამსახურენი იმალებოდენ წინასწარ დამზადებულ „ბლინდაჟებ“-ში, ვინაიდან შესაძლო იყო ლულის გასკდომა მრავალ მიზეზის გამო: — ა) სროლის დროს ლულა თავისი სიგრძის გამო თანაბრად არ ხურდებოდა, რაც იწვევდა მის დეფორმაციას; ამიტომაც პარიზის ზარბაზანს ყოველი გასროლის შემდეგ მოითხოვდა ერთგვარ გასწორებას, ხოლო ყოველი 9 — 12 გასროლის შემდეგ ლულის ახლად ჩამოსხმას; ბ) ყუმბარის არა-ჩვეულებრივი სიჩქარით ტრიალი ლულაში იწვევდა მთელი ლულის საშინელ რყევას; გ) თუნუქის წვეტი, რომელიც ზემოდ ვახსენეთ, შესაძლებელი იყო ლულაშივე მომძვრალიყო.

თუ რა ძალდატანება ადგა ლულას ადვილი წარმოსადგენია იქიდან, რომ ზარბაზნის მექანიკური ძალა უდრიდა რამოდენიმე მილიონი ცხენის ძალას. ლულა იწონიდა 142 ტონას, ხოლო მთელი ზარბაზანი კი 1.500 ტონას. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი სამი არსებული პოზიციიდან, სახელდობრ, კრეპის პოზიცია — ფრანგმა მფრინავებმა აღმოაჩინეს. ზარბაზანი იმყოფებოდა წინა-ხაზს უკან 10 კლმ. ე. ი. პარიზიდან 120 კლმ. მანძილზე. დაბურულს ტყეში მოთავსებულ 3 ზარბაზანს თან ახლდა რამოდენიმე ბატარეა მფრინავთა წინააღმდეგი არტილერიისა; ისინიც საუცხოვოდ დაფარული ხელოვნურადკარგად იყვნენ დაფარული; აგრეთვე კარგად იყო დაფარული მთავარი რკინისგზის ლიანდაგიდან სპეციალურად გაყვანილი ორი შტო პოზიცის საჭიროებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ზე-ზარბაზანის“ გასროლის დროს დანარჩენი ბატარიებიც იწყებდენ სროლას და ხელოვნური კვამლით დაფარულ პოზიციაზე ძნელი გასარკვევი იყო „ზე-ზარბაზანის“ და ჩვეულებრივი არტილერიის სროლა. დანარჩენი ორი პოზიცია აღმოჩენილი არ იყო, მხოლოდ დაახლოებით იციან, რომ ერთი მათგანი დაშორებული იყო აღმოჩენილ პოზიციიდან 30 კლმ-ით და პარიზიდან კი 110 კლმ-ით. მესამე პოზიცია უნდა ყოფილიყო სადღაც შატო ტიერის მიდამოებში ე. ი. 90 კლ. პარიზიდან.

აქ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. არსებობს აზრი, რომ გერმანელებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი „ზე-ზარბაზანი“ და მისი ხშირი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანით შეჰქმნეს შთაბეჭდილება, ვითომ რამოდენიმე პოზიციის. ეგ ვერსია, ჩემის აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ჯერ ამ წერილში მოთავსებულ მცირე და მჭლე **ცნობებიდანა სჩანს,** თუ რა რთული კონსტრუქციისა იყო თვით „ზე-ზარბაზანი“ და რა რთუ.. აპარატი იყო საჭირო მის მოსახმარებლად. მისი ხშირი გადატან-გადმოტანა თვით ძლევამოსილ გერმანულ ტექნიკისთვისაც მეტად გაძნელდებოდა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზის პოლიციის ცნობებით მარტის მეორე დეკადაში პარიზს დაეცა 77 ყუმბარა, სულ კი 34 დღის განმავლობაში — 303. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველ 9 — 12 გასროლის შემდეგ ლულას გადასხმა სჭირდებოდა, რაც აუცილებლივ კარგ დროს მოითხოვს, დავრწმუნდებით, რომ ასეთი ამოცანის შესრულება ერთი ზარბაზანისათვის შეუძლებელი იყო.

როგორც ვხდავთ: ეგ სროლა ძალიან კარგად იყო .მომზადებული და გარდა ისეთი რთული ფაქტორებისა, როგორიც იყო: 1) ლულის კუთხის დაყენება, 2) ამფეთქებელი მასალის ღირსება და რაოდენობა, 3) ყუმბარის სვლა სტრატოსფეროში, 4) მეტეორ~გიურ მოვლენათა სხვადასხვაობა ასეთ დიდ მანძილზე, 5) დედამიწის სიმრგვალე და მისი ბრუნვის დღიური სიჩქარე — გათვალისწინებული იყო მრავალი სხვა წვრილმანი, რომელთა შესწავლაში მონაწილეობას ღებულობდენ სამხედრო სპეციალისთა გარდა ქიმიკოსები, მეტეოროლოგები, გეოდეზები, გეოფიზიკოსები და მრ. სხვა. ამიტომ ეგ იმპრეზა ტაქტიკურის მხრივ უნდა ჩაითვალოს დაგვირგვინე-

ბულად, დიდი შედეგებით. 120 კლმ. მანძილზე 6-კილომეტრიან სექტორში ას%ანი მოხვედრა არის შედეგი იმ უზარმაზარი მუშაობისა, ყოველგვარ წვრილმანების შესწავლისა, რომელიც ყოველ გერმანულ საქმიანობას ახასიათებს. „პარიზის ზარბაზანის“ მოსამსახურეთა შტატიც იდგა მოწოდების სრულ სიმაღლეზე და მათზე დაკისრებული ამოცანა ზედმიწევნით შესრულებული.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს კიდევ: უზარმაზარ შრომასთან და ხარჯებთან შედარებით (თითო გასროლა ჯდებოდა 200 — 250 ათასი ფრანკი) ზიანი, რომელიც პარიზს დაატყდა, იყო მინიმალური: დაჭრილ-დახოცილთა რიცხვი არ აღემატებოდა 300 სულს და მატერიალური ზიანიც იყო შედარებით უმნიშვნელო, რაც რასაკვირველია, პარიზის ზარბაზნის მიერ მიღწეულ ტექნიკურ და მორალურ შედეგებს არ ამცირებს.

**მიხ. დადიანი**

## შეცდომის გასწორება

ბ-ნ ლენ. გ. კვინიტაძის წერილში გაიპარა უნებლიე შეცდომა; წერილის პირველ სვეტში, მე-19 სტრიქონზე სწერია: „ადვილად მოსავლები სწორედ ის არის“; უნდა იყოს: „ადვილად მისასვლელი სწორედ ის არის“. ამავე წერილის მეორე სვეტზე, მე-22 სტრიქონზე აკლია ერთი წინადადება: — „საძაგელი მსროლელები ყოფილან“!.




(გაგრძელება. იხილეთ ქართლოსი № 2-3.

ჩასძინებოდა...

ბილეთების გამყიდველმა მაგრად შეანძრია. პავლე ზეზე წამოიჭრა. თვალების გახელას ლამობდა და ვერ ახერხებდა. ბარბაცით ჩამოვიდა ავტობუსიდან.

სოფლის დიდ მოედანზე გაშეშდა... თვალი მოავლო მოედანს. მაღალ ბეტონის სვეტზე ელექტრონის შუქი ლივლივებს.

ეძინა სოფელს.

მყუდრო მოედანი გადასჭრა და ბნელ, ვიწრო ქუჩაში შევიდა.

დარაბებ-დაშვებულ ყავახანიდან სინათლე გამოსჭვივის.

ჩუმი საუბარი...

ჩახლეჩილი სიმღერა...

სოფლის ბოლოში ძაღლი აჰყეფდა.

საფოსტო ყუთი ხელების ფათურით მოსძებნა. წერილი ამოიღო და ჩაფიქრდა.

— ე, ღიალი, რა რიგ ბნელა!

არასდროს პავლეს ისე არ უგრძვნია სიბნელის სიახლოვე, როგორც იმ ღამეს; ვერ გაიმეტა წერილი. ვერ მიენდო სიბნელეს. პავლესათვის მუდამ დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა საფოსტო ყუთი. ვერ აეხსნა, თუ როგორ მოგზაურობს მთელს ქვეყანაზე პატარა წერილი. უცხოეთიდან სამი წერილი გაგზავნა სახლში. სანამ წერილს ყუთში ჩაუშვებდა, პირჯვარს გამოისახავდა. ღმერთს შეავედრებდა, რომ გზაში არ დაკარგულიყო. ხუმრობა ხომ არ არის! ქაღალდის ნაჭერი მთელ დუნიაზე მოგზაურობს! ხან მატარებლით, ხან გემით... უცხო ქვეყნებზე, უცხო ზღვებზე და.... ბოლოს ვანას ჩაუვარდება ხელთ, რომ ოჯახს ამცნოს საბრალო მამის ჭირ-ვარამი.

წერილი ქუდში შეინახა.

— დილით გავგზავნი. აზირ ჩემი თვალით ვნახო, როგორ ჩაბრძანდები ყუთში!? — ეს სიტყვები ისე წარმოსთქვა, თითქოს სულიერ საგნებთან ჰქონდა საქმე. პავლესათვის თეთრ ქაღალდზე გამოყვანილ სიტყვას, ყოველივე წინადადებას ხორცი ესხა.

ორი სიკლისტი გამოძვრა მოსახვევიდან. პავლეს რომ გაუსწორდენ, ელექტრონის სანათი მიანათეს თვალებში. ახედ-დახედეს და ჩუმად გასრიალდენ....

სოფლის შარაზე გავიდა. ვიწრო ბილიკზე შესდგა ფეხი და ზეცას შეხედა:

შავ, სქელ ღრუბლებში შესცურდა მთვარე.

დაელვა.

შორით ქუხილი მოისმა.

პავლემ ნაბიჯს უმატა. პატარა გორაკი გადაიარა და თავქვე დაეშვა.

გამოჩნდა თეთრი სახლი, განმარტოებით მდგარი დაცემულს მინდორზე.

ალაყაფის კარები რომ შეაღო, ძაღლმა დაიყეფა,მაგრამ იცნო პავლე და წკმუტუნი დაიწყო; ფეხთ გაეგო; ზურგზე ამოტრიალდა.

— ყურშა, ჩემო ყურშა! — მიუალერსა ძაღლს. ხელი გრძელ ბეწვზე გადაუსვა.

— მაიწყინე, ბიჭო, უჩემოდ?!

ძაღლმა წკმუტუნს უმატა. უკან დაედევნა ხტუნვითა და კუდის ქნევით.

— გეყოფა, ბიჭო! ეხლავ დაიმალე შენს ქოხში, თორემ იგეთი წვიმა წამოვა, რომა.. სულ ერთიან გაიწუწები.

ძაღლი ყეფვა-წკმუტუნით შეძვრა პატარა ფიცრულში.

ბოსელში შევიდა. ელექტრონი გაანათა.

— გამარჯვებით, შვილებო!

საქონელი შეინძრა.

გავა დამრგვალებულმა ცხენებმა ყურები სცქვიტეს. აფრუტუნდენ.

ძროხა თივაზე წევს და იცოხნება. არ განძრეულა, მხოლოდ კუდი გააქნია.

მოზვერი შეკრთა. ნამძინარე, დაბერილი თვალები დააჭყიტა. წამოიჩოქა.

— მუუუუ! .. დაიზმუილა მოზვერმა.

მსხვილი ჯაჭვით მიბმულმა ხარებმა ადგილი გამოინაცვლეს.

— გამარჯვებათ! როგორა ხართ, შვილებო?!

ცხენებს გავაზე ხელი გადაუსვა:

— ხო არ მოგშივნიანთ? წყალი ხომ არ დაგკლებიანთ? აი, ტა ტა ტა!

ხარებს გადახედა:

— აი, თქვე მგლის არჩივნო, თქვენა! სირცხვილი არ

იცით! ენგრე როდი უნდა გაისვაროთ, ბიჭებო?! არა გრცხვენიანთ?! — ფიწალი ჩამოიღო. ფეხებში თივა დაუგო.

სიამით შეისუნთქა თავლაში დანთხეული შარდისა და ნაკელის სუნი და განაგრძო:

— ისევ თქვენთანა ვარ. ჩვენი კაცი, ტყუილია, უთქვენოდ ვერ გაჰძლებს. თქვენ-ღა მყევხართ, კარგებო, მარტოოდენ თქვენა! მხოლოდ თქვენი ენა-ღა მესმის ამ უცხო ქვეყანაში.

— მუუუ!...

— ჰოდე, ჰოდე! გამომეხმაურეთ! პასუხი გამეცით! უთქვენოდ ჩემი აქ ყოფნა რა იქნებოდა? თქვენ მაგონებთ ჩემს უბედურ სახლ-კარსა, ჩემ სოფელსა, ჩემ სიყრმესა და მოწიფულებასა...

— მუუუ!..

— ჰოდე, ჰოდე!

ძროხასთან მივიდა. რქებზე ხელი წაავლო:

— იცოხნები? შეგარგოს უფალმა! შენი ბიჭი როგორა გყამს?

მოზვერი შეკუნტრუშდა.

— ჰიი! გაგეხარდა ჩემი მოსვლა? იხტუნე, იხტუნე ბიჭო!

მოზვერი ხტუნვით მიუახლოვდა პავლეს. დააცქერდა გაკვირვებულის თვალებით.

პავლე დაიხარა.

სველი დრუნჩი პავლეს სახესთან მიიტანა და ლოყაზე ხორხლიანი ენა აუსვა.

— აი, შე წირპლიანო შენა! — მოზვერს ხელი მოხვია და თვალები ამოუწმინდა.

— ეხლა არ იკითხამთ — სად ვიყავი?! — მიმართა პავლემ პირუტყვთ.

— წიგნი რომ მივიღე, ე ხომ თქვენც იცით. წიგნს კი, ჩემო კარგებო, წაკითხვა უნდა. ენგრე არ არი? კითხვა კი როგორც თქვენ არ იცით, ისე პავლემაც არ იცის. ჰო და წიგნი ანფრასიონმა წამიკითხა. ჩემი ვანა იწერება. რომ კარგად ვართ, მამა-ჯანოო. პელა გვითხოვდება, შვილებო! კატუანთ გიგლას მიჰყვება!

— მუუუ!

— ჰოდე, ჰოდე, შენ კი დაგენაცვლე, შენა!

მოზვერს თავი დაუქირა. თვალებში ჩააცქერდა.

— ენგრე იწერება ვანა რომა — შენი ნიკორა მამიკითხე მამა-ჯანოო. — იცრუა პავლემ.

მოზვერი ხელიდან დაუსხლტა; პავლეს სიტყვები თითქოს გაიგო; კუნტრუშ-კუნტრუშით წრე შემოხაზა.

—ჰია, გაგეხარდა?! შენს თავსა ვფიცავ, — ენგ… იწერება.

— მუუოო! — დაიღმუვლეს ხარებმა.

— ფრრ! — დაიფრუტუნეს ცხენებმა. უჯიშო ლაფშამ თავი ასწია, ნესტოები დაჰბერა, კბილები გადმოჰყარა: დაამთქნარა.

— ჩუმად თქვე, სალახანებო, თქვენა! პატრონი არ გაალვიძოთ. გაგვიჯავრდება. დაიძინეთ! დაიძინეთ! — სთქვა პავლემ. ელექტრონი ჩააქრო. თავლის კარები მაგრად გამოიხურა და გადარაზა.

. . . . . . . . . . .

ოთახში ფეხაკრეფით შევიდა.

ბუხარზე გოგირდის წუმწუმა ეგულებოდა. გაჰკრა და სანათს მოუკიდა.

მკრთალად განათდა კირით შეღებილი, სინესტის სუნით გაჟღენთილი კედლები, ლოგინი და კედელზე გაკრული დაჟანგული ჯვარცმა.

დიდის სიფრთხილით წაიძრო მძიმე, დალურსმული ფეხსაცმელები. ტანთ გაიხადა.

ლოგინში ჩაწვა.

უნდოდა სანთლის გაქრობა და... ჩაფიქრდა.

ქუდში შენახული ვანას წერილი ამოიღო. გახსნა.

ლოგინზე ჩამოჯდა და დიდის დაკვირვებით დააცქერდა. დიდხანს უცქეროდა.... თითქოს კითხულობდა....

ბუტბუტებდა..

გადაფურცლა... „პელა კოპერატივში წავიდა“....

. . . . . . . . . . . .

ფრთხილი კაკუნი!

კარები გაიღო.

ოთახში ქალი შემოვიდა:

ფეხშიშველი,

თხელი კაბა შემოჰკროდა მსუქან შიშველ ტანზე.

ღიმილით მიუახლოვდა პავლეს,

ლოგინზე ჩამოჯდა.

პირზე ხელი აიფარა. დაამთქნარა....

— ნონ! — სთქვა პავლემ.

— პურკუა?

— ნონ! — წაიჩურჩულა პავლემ და წერილზე უჩვენა.

ქალი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

სანთელი ჩააქრო.

წერილი გულში ჩაიკრა და თვალები დახუჭა.

**ს. ბერეჟიანი**

(გაგრძელება იქნება)

**Colonel D. de Souramy: La dislocation U.R.S.S. et les problèmes du Caucase. Bruxelles.**

კოლონელ დე სურამის ეს პაწია წიგნაკი წარმოადგენს დომხალს და იგი ერთი ზედმეტი საბუთია იმის, რომ პოლიტიკაზე წერა ასე ადვილი საქმე არაა, როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია.. ბ-ნი კოლონელი იწყებს იმით, რომ მას კაცობრიობის ჭირი აღმოუჩენია; იგი ყოფილა თურმე: 1) ადამიანური სისულელე, 2) ბიუროკრატიზმი და 3) მზამზარეული ფორმულები. ათავებს რა ამგვარ ფილოსოფიაზე ლაპარაკს, ბ. სურამელი მოითხოვს კავკასიის კონფედერაციას, რომელსაც იგი იდეალად სახავს: „კავკასიის კონფედერაციის იდეაში იმყოფება მთელი ჩვენი ბედნიერება“-ო. მაგრამ რა ხდება თურმე! სომხები რუსეთის მომხრე ყოფილან, მაშასადამე, ისინი კონფედერაცის წევრებად აღარ ჩაირიცხებიან, და.. დარჩება თათრულ-ქართული სახელმწიფო! Ƨად ამოჰყოფს თავს ამ შემთხვევაში სომხეთი?! ეს ავტორს აღარ აინტერესებს. ხოლო მერმე კითხულობს ლექციას რუსეთზე, სა-

ქრთველოზე და ჭკუას არიგებს ქართულ დიპლომატიას, თუ როგორ უსდა აწარმოოს მან მუშაობა. წიგნაკის 32 გვერდზე მას მოუნდომებია ყველა: საქართველოსა და საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტა, და ამას დიდი „რიხით" ასრულებს. წავიკითხეთ ეს წიგნაკი და ვიკითხეთ: ვისთვისაა დაწერილი იგი? ქართველისათვის ან კავკასიელისათვის? მაშინ აქ ცოტა და ბუნდოვანადაა ნათქვამი, — თუ უცხოსათვის, მაშინ ხომ არავითარი აზრი არა აქვს მას: უცხოელი აქედან ვერაფერს გაიგებს. დაწერილია ალბად ავტორის სავარჯიშოდ!

წიგნაკს კავკასიის რუკა აქვს დართული; კოლონელს სწორედ არ ეპატივება რუკაში დაშვებული შეცდომა: — ჯერ პეტროვსკია აღნიშნული და მერმე კი დერბენტი, — უნდა იყოს კი: წინაუკმოდ!

**La Démocratie, le Socialisme et la S.d.N. contre la Paix. Documents par M. Leonetti, Avocat du Bareau de Rome, Pompei, 1937.**

ასეთი სათაურით რომაელმა ვექილმა ლეონეტიმ გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია საქართველოს შესახები საბუთები და ხელშეკრულებანი, რომელთა რიცხვი 15-ა; მოტანილია საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის წერილი მთავრობის თავჯდომარე ერიოსადმი, რენოდელის წერილი და მისი სიტყვა წარმოთქმული პალატაში საქართველოს დასაცავად, ხალხთა ლიგის სხდომათა ანგარიშები, ოქმები, საქართ~ოს რომ შეეხება, ერიოს სიტყვა პალატაში, ჩიჩერინის ნოტა კერზონისადმი ბათუმის შესახებ, ამონაწერი ბარტოლდის და დეფურის წიგნიდან საქართველოს საერთაშორისო უფლების შესახებ.. იქვე მოთავსებულია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულებათა ტექსტი და სხ. ავტორი არჩევს და ანალიზს უკეთებს ყველა ამ საბუთს და ჭეშმარიტებით დაასკვნის: დემოკრატია, სოციალიზმი და ხალხთა ლიგა.. ყოველგვარ უბედურებაში ისინი უნდა ვეძებოთ; ყოველგვარ საერთაშორისო გართულებანი სააშკაროზე გამოდის მათი ერთიანი უარყოფითი მუშაობა. ხალხებს არ შეუძლიათ წყნარად იცხოვრონ, როცა ხელისუფლებას სათავეში უდგას დემოკრატია ან სოციალიზმი. ავტორი თავს ესხმის უმთავრესად ფრანგულ დემოკრატიასა და სოციალიზმს და მათ სთვლის ყველა უბედურების გამომწვევად. და აქ აღნუსხული ქართული დოკუმენტებით მტკიცდება ის შანტაჟი, რომელიც დემოკრატიამ, სოციალიზმმა და ხალხთა ლიგამ გაუწია საქართველოს და ეხლა ესპანელ ხალხის უბედურების გამომწვევიაო. ავტორის აზრით, კომუნისტები არიან სოციალისტებისი და დემოკრატების თანამშრომელნი, დამხმარენი, — ამის წინაალმდეგ ერთადერთი საშუალებაა: ბოლო მოვუღოთ პროფესიონალ აგიტატორებს და გავწმინდოთ საზოგადოება მათგანო. რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს აგიტატორები არიან დემოკრატია, სოციალიზმი და მათი შვილი — ხალხთა ლიგა —, რომელიც ყველა კონფლიქტს ჰქმნისო და სხ.

ეს პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს შესახები ასეთი საბუთები თავმოყრილია და გამოცემული; ამისათვის ავტორს გულწრფელი ჩვენი მადლობა.

**Un point d,Istoire. La triste Odyssée du Peuple Géorgien.**

ასეთი სათაურით კრებულ „ფრონტიერ"-ში (10 მარტი, 1937 წ.) მოთავსებულია ბ-ნ ჟ. დევირის პატარა წერილი. ისპანეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ავტორი იხილავს საქართველოს საკითხს და ამბობს: — „საბჭოთა რუსეთი ემზადება, როგორც ეტყობა, იცნოს კატალანიის დამოუკიდებლობა იმ პრინციპზე დამყარებით, რომლითაც ამიერიდან ყველა ხალხი თვით უნდა განაგებდეს თავის ბედს. თუ ეს ასეა, განსაცვიფრებელია, რომ საბჭოები თავისი მონობის ქვეშ სტოვებენ დღემდის კავკასიის რესპუბლიკებს: საქართველოს, სომხეთს და უკრაინას. ამიტომ რომ ალვნიშნოთ ცბიერება ამ მთავრობისა, საჭიროა მოვიგონოთ სამწუხარო მდგომარეობა ქართველი ხალხისა"-ო. — შემდეგ მოკლედ, ყველა ღირსშესანიშნავ ამბავთა აღნიშვნით, იგი მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას მისი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ბოლშევიკების მიერ დაკავებამდე. — წერილი თავდება ასე: „წლები წარვიდენ, აჯანყებანი კი გრძელდებიან. დიდი პრესა სდუმს. ემყარება რა თავის დაპირებებს, საფრანგეთის მთავრობა დიდხანს არ ურიგდებოდა საქართველოს ოკუპაციას; აქედან არსებობა პარიზში საქართველოს ლეგაციისა, რომელიც შესწყდა საფრანგეთ-რუსეთის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შემდეგ... ამგვარად, ჩვენი ერის წარმომადგენლობისაგან ლახვარი იქმნა ჩაცემული ხალხის უფლებისადმი... საფრანგეთმა, რაინდულმა ერმა, რომელიც ყოველთვის თავისი სიტყვის პატრონი იყო, პირველად 1934 წ. კარტელის მიზეზით, არ შეასრულა გაცემული სიტყვა... ერთა ლიგამ თავისი სისუსტით ხომ წინ წაუსწრო ამ საქმეში, მაგრამ ფრანგ ნაციონალისტებს ეს არ დავიწყებიათ და ისინი განსაკუთრებული სიმპატიით თვალყურს ადევნებენ გმირულ ცდებს ერისას, რომელიც იბრძვის თავისი კულტურისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ბარბაროსობის წინაალმდეგ"-ო.

ივ. გახოკიძე

**FRANCESCO TADDEI — Forze Antibolsceviche, in LE PIAZZA, 20 Maggio, N. 18.**

ფრანჩესკო ტადდეი ამ საინტერესო წერილ'ში ეხება რუსეთის ეროვნებათა საკითხს და იგონებს რა ძველი რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულ ერების ამბავს (მოზაიკა ერების), რევოლუციის დროს მათ განთავისუფლებას და შემდეგ წითელი რუსეთის მიერ კვლავ მათ დაპყრობას, აღნიშნავს, რომ ამჟამად რუსეთში მზადდება და უკვე მომწიფებულიცაა ეროვნული რევოლუცია: რუთენია, უკრაინა, თურქესტან, ყაზახია, ჩრდილო კავკასია, საქართველოში. „ადვილია წარმოვიდგინოთ", ამბობს ტადდაი, „თუ რა აღფრთოვანებას იწვევს ქართველთა შეგნებაში ისტორიულ გამარჯვებათა მოგონება, მათი სამეფოს სიძლიერე, და მათი დიდი პოეტი შოთა რუსთაველი"-ო. ავტორი დარწმუნებულია, რომ ეროვნული რევოლუცია რუსეთში ახლო მომავალის საქმეა და რომ რუსეთი მალე დანაწილდებაო.

**საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მიზანია: განთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ფაშიზმის ანუ ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით.**

## ვეფხის ტყაოსანი-ს ლექსიკონი

განზრახული მქონდა ვეფხის ტყაოსანის გამოცემა, მაგრამ სიძვირის გამო, ეს ვერ მოვახერხე. ვ. ტ.- სთვის დამზადებულ ლექსიკონს ვათავსებ ქართლოს-ში; ამ ლექსიკონს საფუძვლად უძევს დ. კარიჭაშვილის მიერ გამოცემული ვ. ტ. ლექსიკონი, რომელიც შევავსე სხვადასხვა ლექსიკონიდან. მრავალ შემთხვევაში ვისარგებლე ბ-ნ მ. წერეთელის რჩევით, რისთვისაც მას მადლობას ვუძღვნი. მეტად ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ მკითხველს ეს ლექსიკონი ვ. ტ. კითხვას გაუადვილებს.

**ივ. გახოკიძე**

### ვეფხის ტყაოსანის თავნართი

ტაეპი 1.
**სამყარო** — ცა და მისი მნათობები ერთად.
**ზეგარდმო** — ზევითგან, ზევით, ზეციერი, მაღლით.
**არსი** — მყოფი
**ფერი** — სახე, მსგავსი, შესაფერი
**მისმიერი** — მის შექმნილი, გაკეთებული
ტაეპი 2.
**დათრგუნვა** — დამხობა, ფახქვეშ დასრესა, გათელვა, დამარცხება
**მიჯნური** — მოტრფიალე, შეყვარებული, სიყვარულის მქონი (8, 10, 11)
ტაეპი 3.
**შიმშერი** — ხმალი
**ლაწვი** — ლოყა
**ბადახში (ბალახში)** — ლალი უმჯობესი
**ხოტბა** — ქება, შესხმა
**შე** — გამეორება ზმნისა: შე ვკადრო
**ყანა** — ქვეყანა
**მართ** — მხოლოდ, მარტოდ
ტაეპი 5.
**რხეული** — შერხეული, მოძრავი
**ხეული** — ნაკრავი, ნასობი
ტაეპი 6.
**ბაგე** — ტუჩი, ნაპირი
**მიჯრით** — —მჭიდროდ
**გრდემლი** — რკინის დიდი ნაჭერი, რომელზეც სჭედავენ რკინეულობას
**ხანიერი** — მუდმივი, მტკიცე, ხანგრძლივი
ტაეპი 7.
**მართ** — მართლა
**სობილი** — ჩარჭობილი.
**მისთვის ვულ-ლახვარ-სობილი** — მისთვის გულში ლახვარ მოხვედრილი
ტაეპი 8.
**მართ** — სწორეთ
ტაეპი 9.
**მიჯნურობა** — ტრფიალი, სიყვარული
**სიძვა** — უწესო კავშირი დაუქორწინებელთა
**მზღვარი** — მიჯნა (მცირე რამ საზღვარის ნიშანი)
**ნაუბარი** — ნათქვამი, ნალაპარაკევი
ტაეპი 10.
**მეძავი** — უქორწილო კავშირის დამჭერი, მეპრუშე
**ბილწი** — არა-წმინდა, უსუფთაო, ბინძური
**მრუში** — დაქორწინებული და სხვასთან კავშირის მქონი
**სულთქმა** — ოხვრა, ამოხვნეშა
**უში** — **წყენისა**, უსიამოვნებისა, ჯავრის გამომხატველი ხმა
**კუშტი** — მწყრალ, გაბუტული
**ქუში** — გულ-მწყრალი
**მტლაშა-მტლუში** — ხმიანი და გახშირებული კოცნა
ტაეპი 11.
**მღერა** — **თამაშობა**
**ნარდის მღერა** — ნარდის თამაშობა
**თმობა** — მოთმენა, ტანჯა
**დაგვა** — წვა
ტაეპი 12.
**ხალვა** — მარტოობა
**ალვა** — ალის მოკიდება
ტაეპი 13.
**ხვაშიადი** — საიდუმლო, სამალავი; სახორციელო
**ზმა** — ქმნა
**ყივნება** — შერცხვენა კაცთათვის ავი სახელის განთქმა
**მოყივნება** — შერცხვენა, სახელის გატეხა
**ფერება** — გამოჩენა, გამოჩვენება
ტაეპი 14.
**უშმაგო** — **გადაურეველი**, ჭკუათ-მყოფელი
**რამცა** — რა
**რადაღამცა** — რადღა
ტაეპი 15.
**ხელი** — გიჟი
**ამადარი** — ამნაირი (ამიტომ არის)
ტაეპი 16.
**სამარი** — სამარე
**ჯარი** — გროვა, სიმრავლე
**საგოგმანები** — გადასაცემ - გადმოსაცემი; საგორებელი
**საჭოჭმანები** — საჭოჭმანო, საძნელო
**ხელ-მქმნელი** — გამაგიჟებელი
**ლაღი** — თავისუფალი, კადნიერი, თამამი
**დამართება** — დართობა (საქმის მოსლვასავით)
**ნები** — ხელის გული
ტაეპი 17.
**აჯა** — თხოვნა, სათხოვარი
**ვიაჯ** — ვითხოვ
**უბნობა** — ლაპარაკი
ტაეპი 18
**მიწყივ** — მუდამ, მარადის
ტაეპი 19.
**დარგი** — ნაწილი, კატეგორია, გაწყობილება
**მარგი** — მარგებელი, სასარგებლო
**ვარგი** — რიგიანი, კარგი
**შაირი** — პოეზია, ლექსი (ოთხ-მუხლედი)
ტაეპი 20.
**მართლად** — სწორედ
**თქმა** — გამოთქმა
**ხევა** — ხმევა (თქმა)
**ლევა** — გამოლევა, დაპატარავება, გათავება
ტაეპი 21.
**ჩოგანი** — ბურთის საგებელი და საგორებელი ჯოხი
ტაეპი 22.
**ყოლა** — სრულიად, მთლად
ტაეპი 23.
**ბედითი** — უბრალო, ტყუილ-უბრალო, ცუდი
ტაეპი 24.
**სანადიმოდ** — სმა-ჭამაში დროს გატარებისათვის
**სამღერელი** —სათამაშო
**სააშიკო** — სატრფიალო
**სათრეველი** — სალანძღველი
**სალაღობელი** — სახუმარი, გასართობი
ტაეპი 25.
**ნაჭირვები** — ნაშრომი
**ბრკობა** — ბნევა, ფანტვა, ფრქვევა
**აშიკობა** — არშიყობა, ტრფ.
**კიდე** — გარდა, გარეშე
**შენგან კიდე** — შენ გარეშე
**მუსიკობა** — წყობით და შნოიანად ლაპარაკი, თქმა
ტაეპი 26.
**განქიქება** — გაკიცხვა, გაკილვა, შერცხვენა
**გაქიქება** — შერცხვენა
**ჯიქი** — ვეფხსა :გავს
**შეფრქვევა** — შეყრა, მიყრა, პკურება
**გვარი** — ერთნაირი ნივთების ანსაგნების, ან ადამიანთა გროვა, რომელსაც საერთო სახელი აქვს
ტაეპი 27.
**ტომი** — ნათესავი, მოდგმა, კატეგორია
**მოსაგები** — გამოსაღები, გამოსაცემი, გამოსათქმელი
**საზეო** — უმაღლესი, უმაღლესის შესაფერი
**აღმაფრენა** გონება, ფიქრი მაღალს საგნებზე
ტაეპი 28.
**დავალება** — შეწუხება, დაღლა
**მართ** — სწორეთ
ტაეპი 29.
**შმაგი** — გიჟი
**შმაგობა** — გიჟობა
**მიხდომა** — მიხწევა, შეხვედრა, შემთხვევა.
**სიახლე** — სიახლოვე, მახლობლობა, ახლოს ყოფნა
**დაშვრომა** — დაღალვა
**კეკლუცი** — ლამაზი, შნოიანი, მოხდენილი
**ფრფენა** — შეხარება, სიხარული
ტაეპი 31.
**გაჭრა** — გავარდნა, ადამიანთაგან განშორება

---

*1*

### ამბავი როსტევან არაბთა მეფისა

ტაეპი 32.
**სვიანი** —ბედნიერი, ძლიერი
**მორჭმული** — მდიდარი, კმაყოფილი, უდარდელი
**განგებიანი** — შეგნებული, გამჭრიახი, ბრძენი, გამგებელ
**უებრო** — უტოლო, უცალო, მეტად კარგი
**მოუბარი** — მთქმელი, მოლაპარაკე
**წყლიანი** — კარგად, ლამაზად და სიამოვნოდ მოლაპარაკე, მოხდომილი. შვენიერი
ტაეპი 33.
**ძე** — შვილი, ვაჟიშვილი
**დასი** — ჯგუფი, გუნდი
**დასული** — დასის მონაწილე, დასელი, დასში მყოფი
**ასული** — გაასევებული,
**ენა ბევრად ასული** — ბევრჯერ ასი ენა
ტაეპი 34.
**ასული** — ქალიშვილი
**გავსება** — მომწიფება, დასრულება
**ვეზირი** — მეფის მახლობელი, მრჩეველი
**ამო** — საამური, სასიამოვნო
ტაეპი 35

## სამგლოვიარო

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ინჟინერი თ~დი იოსებ იულონისძე დადიანი; განსვენებული სიყმაწვილედან უკანასკნელ დღემდე მონაწილეობას ღებულობდა ყოველ ქართულ და კავკასიურ საქმეში. მისი ცხოვრების მეტი ხანი მან გაატარა ბაქოში, სადაც ნავთის წარმოებაში იყო ჩაბმული და ჩვენ მეზობელ ერთა შორისაც დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა. ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან ეს ძვირფასი ნიმუში ქართული რასიული მშვენიერებისა, რაინდობისა, გულკეთილობისა და ლმობიერებისა.

დასაფლავებას დაესწრო მრავალი საზოგადოება. სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთქვა კოლონიის თავჯდომარემ ბ-ნ ვახტანგ ღამბაშიძემ და ქართველ ინჟინერთა სახელით ბ-ნ იოსებ გობეჩიამ.

7 აპრილს გარდაიცვალა მართა ივანე ამილახვარის ასული თურქიასი.

ტრაღიკული შემთხვევით დაიღუპა სერგო მაისურაძე, ქართველი მებრძოლი, წევრი ქაქუცას სახელოვანი რაზმისა.

13 აპრილს გარდაიცვალა ნატალია დუმბაძისა. ქვრივი ღენერალ დუმბაძისა.

6 აპრილს გარდაიცვალა სტუდენტი თევდორე ზარიძე.

ისპანეთში ნაციონალისტთა ფრონტზე გმირულად დაიღუპა ლუარსაბ მალალაშვილი.

## თამარ მეფის დღეობა

30 მაისს „ქართულმა კერამ“, რომელსაც ხელმძღვანელობს ქ-ბნი სოფიო კედიასი, მოაწყო თამარ მეფის დღე. დარბაზს ამშვენებდა ბ-ნ სვ. ბერეჟიანის მიერ დახატული თამარ მეფის სურათი, შემკული ვარდ-ყვავილებით. თამარ მეფის შესახებ მოხსენება წაიკითხ. ბ-ნ ?. ამირაჯიბმა. ბერეჟიანმა ქქბბ-ნ. ვალია კედიამ, ელ. მამულაიშვილის ასულმა, ზ. კედიას ასულმა, ბ-ნ ირ. ზალდასტანიშვილმა წაიკითხეს სხვა და სხვა ლექსი. დამსწრე საზოგადოება ამ დღით მეტად კმაყოფილი დარჩა.

## ბ-ნ ექვ[?]იმე თაყაიშვილის

**თხუზულებათა [?]აგამომცემლო ფონდისათვის**

დაარსებულმა ქალ[?] კომიტეტმა მიიღო შემდეგი შემოწირულება: —

ბ-ნ ლ. რუხაძისაგან შეგროვილი: —

| | | |
|---|---|---|
| **Me Brummault des Houlieres** | ფრანკი | 50 |
| ბ. ლ. ჭურღულაშვილი | | 50 |
| „შევარდენის კარვედის გუნდი“-საგან | | 200 |
| პარიზის დრამ. დასისგან: „დამხჩვალი ჩხიკვი“ | | 300 |
| ქბ-ნ. ლიდა ნოზაძისაგან | | 200 |
| სულ | | 800 |

## ვინ როგორ მიდის სოციალიზმისაკენ




Le gérant: M. Durand.

Rédaction : V. Nosadzé, 26, rue Lacretelle, Paris (15e)
Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne